პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.
ოთხშაბათი,
5
ივნისი
1935 წ.
№ 130 (4236)

დღეს ნომერში

- ამხ. ლ. ბერიას გამოსვლა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1935 წლის 31 მაისს.
- პროფ. ივ. ბერიტაშვილი—ფიზიოლოგთა მე-15 საერთაშორისო კონგრესისათვის (მე-3 გვ.).
- სამგლოვიარო ცერემონია თურქეთის რესპუბლიკის ელჩ ბ-ნ ვასიფ ჩინარის ხსოვნის პატივსაცემად.
- საკრედიტო შეთანხმების ხელმოწერა საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას შორის.
- ინგლის - გერმანიის საზღვაო მოლაპარაკება.
- გემი „ნორმანდია" ნიუ-იორკში.
- ამხ. ი. ვ. მიჩურინის ჯანმრთელობის მდგომარეობა.

ამხ. ლ. ბერიას გამოსვლა

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1935 წლის 31 მაისს

ამხანაგებო! საბჭოთა საქართველოს ცხოვრებაში მოხდა დიდი პოლიტიკური ამბავი. საბჭოთა კავშირის ცაკის გადაწყვეტილებით „მთელი რიგი წლების განმავლობაში როგორც სოფლის მეურნეობის დარგში, ისე მრეწველობის დარგშიც განსაკუთრებული წარმატებებისათვის" **საბჭოთა საქართველო დაჯილდოებულია ლენინის ორდენით** (ტაში).

თავგანწირული ბრძოლის და მუშაობის ამ მაღალ შეფასებას საქართველოს მშრომელებმა, მუშებმა და კოლმეურნეებმა, საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ და მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა მიაღწიეს საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხაზის და ამხ. სტალინის პირად მითითებათა სწორად განხორციელების შედეგად.

ლენინის ორდენით დაჯილდოება მოწმობს იმას, რომ საქართველოს კომპარტიამ არა მარტო გამოასწორა ყველა ის შეცდომები და პარტიის ხაზის დამახინჯებანი, რომლებიც დაშვებული იყო წარსულში და რომლებიც აღნიშნა და დაგმო საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, არამედ უკანასკნელი 3—4 წლის განმავლობაში უდიდეს წარმატებებს მიაღწია სოციალისტურ მშენებლობაში და ჩადგა საბჭოების ქვეყნის მოწინავე მხარეებისა და რესპუბლიკების რიგში.

რას გვავალებს ეს, ამხანაგებო? **ეს ჩვენ გვავალებს არა მარტო შევინარჩუნოთ მიღწეული წარმატებანი, არამედ შემდეგშიაც ვიაროთ წინ და სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე ჩვენს ყოველდღიურ ოპერატიულ მიმდინარე მუშაობაში ვუჩვენოთ ახალი ბოლშევიკური ნიმუშები.** ამის მიხედვით უნდა ავაგოთ მთელი ჩვენი შემდგომი მუშაობა და სწორედ ასეთივე მოთხოვნებით უნდა მივუდგეთ ჩვენს წინაშე დასახულ ამოცანებს, ამ შემთხვევაში კი იმ საკითხებს, რომლებსაც იხილავს საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

⁂

ავიღოთ ჩაის საკითხები, შეცდომა არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ **ჩაის კულტურამ საქართველოში მტკიცედ დაიკავა მოქალაქობრივი უფლებები.** უკანასკნელი 3—4 წლის განმავლობაში ჩვენ მივაღწიეთ ჩაის მეურნეობის საგრძნობ განვითარებას და განმტკიცებას. ამის შესახებ თქვენ მოგაწოდათ ინფორმაცია მომხსენებელმა და ილაპარაკეს კამათში გამოსულმა ამხანაგებმა.

ფრიად მნიშვნელოვანია ის, რომ კოლმეურნემ ახლა მტკიცედ შეიგნო და შემდეგში კიდევ უფრო მეტად რწმუნდება, რომ მისთვის ჩაი წარმოადგენს არა სახვათაშორისო საქმეს, არამედ მისი მეურნეობის საფუძველს, რომელსაც იგი შეძლებული ცხოვრებისაკენ მიჰყავს. **კოლმეურნე უკვე გრძნობს იმ დიდ ეკონომიურ სარგებლობას, რომელიც მას ჩაის კულტურამ მოუტანა და რომელსაც იგი კიდევ მოუტანს.**

საქართველოს ჩაის ყოველ რაიონში უკვე ახლაც ძალიან ბევრია ისეთი კოლმეურნეობები და კოლმეურნეები, რომლებიც არასრულმოსავლიანი პლანტაციების ერთი ჰექტარიდან ღებულობენ შემოსავალს 3-4-5 ათასი მანეთის რაოდენობით, ხოლო სრულმოსავლიანი პლანტაციების ერთი ჰექტარიდან 8-9 ათას მანეთამდე და კიდევ მეტს. ხოლო ვინაიდან ჩვენში მოიპოვებიან ისეთი კოლმეურნეობები, რომლებშიაც მეურნეობაზე 2 ჰექტარამდე მოდის, სავსებით ნათელია, თუ რამდენად ხელსაყრელია კოლმეურნისათვის ჩაის გაშენება.

მარტო 1935 წელს ჩაის რაიონები (და, მაშასადამე, ამ რაიონების კოლმეურნეები) ჩაიში მიიღებენ, არც მეტი არც ნაკლები 57 მილიონ მანეთს.

თუ ავიღებთ ჩაის ერთერთ ძირითად რაიონს — მახარაძის რაიონს და ვნახავთ, რამდენ ფულს მიიღებენ ამ რაიონის კოლმეურნეები სახელმწიფოსაგან 1935 წელს, მივიღებთ შემდეგ სურათს: რაიონი ჩაისათვის მიიღებს კრედიტებს დაახლოებით 5 მილიონი მანეთის რაოდენობით; კოლმეურნეები ჩაის მწვანე ფოთლის ჩაბარებისათვის მიიღებენ 10 მილიონზე მეტ მანეთს, ხოლო სხვა დამხმარე დარგების პროდუქციაში, სახელმწიფოსათვის ჩაბარებულ მთელ პროდუქციაში (მანდარინი, ლიმონი და სხვ.). აღებულ ფულთან ერთად მარტო მახარაძის რაიონი მიიღებს 30-35 მილიონ მანეთს.

საკოლმეურნეო მინდვრებზე ჩაის პლანტაციების ზრდასთან ერთად იზრდებიან და მტკიცდებიან ჩვენი ჩაის საბჭოთა მეურნეობანი. ჩვენ გვაქვს ჩაის 15 საბჭოთა მეურნეობა. თუ საბჭოთა მეურნეობების ახლანდელ მდგომარეობას შევადარებთ იმას, თუ რას წარმოადგენდნენ ისინი რამდენიმე წლის წინათ, სავსებით ნათელი გახდება კოლოსალური განსხვავება. დღეს საბჭოთა მეურნეობანი განუზომლად უკეთ გამოიყურებიან.

უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ჩაის განვითარებისათვის ჩატარებული მთელი მუშაობის შედეგად დღეისათვის ჩვენ გვაქვს 33.954 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, ნაცვლად 1931 წლის 18.000 ჰექტარისა. მაშასადამე, უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში ჩაის ფართობი 16.000 ჰექტარით გადიდდა. ამავე დროის განმავლობაში კაპიტალური რემონტი გაუკეთდა 1931 წლამდე გაშენებულ ყველა პლანტაციას.

1932 წელს ერთი ჰექტარი საშუალოდ იძლეოდა 750 კილოგრამ ჩაის ფოთოლს, ხოლო 1935 წელს იძლევა 1.400 კილოგრამს. როგორც ხედავთ, მოსავლიანობის ზრდა ძალიან სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს.

თუ 1932 წელს ჩვენ მივიღეთ სულ 1.200.000 კილოგრამი მწვანე ჩაის ფოთოლი, ხოლო 1934 წელს — 6.000.000 კილოგრამი, 1935 წელს ჩვენ ვიძლევით 12.300.000 კილოგრამს, ხოლო მომავალ 1936 წელს უნდა მივცეთ არანაკლებ 22 მილიონი კილოგრამისა.

ჩაის კულტურის განვითარებასთან ერთად მიმდინარეობს ჩაის მრეწველობის განვითარებაც. ჩვენ უკვე გვაქვს ჩაის 28 ფაბრიკა.

ამხანაგებო! ჩვენი ყველა ეს წარმატებანი ჩაის მეურნეობის განვითარების დარგში წარმოადგენენ ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის სწორად გატარების შედეგს. ისინი წარმოადგენენ საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საკავშირო ორგანოების დახმარების შედეგს. პარტიამ და მთავრობამ ამ წლების მანძილზე ჩაის საბჭოთა მეურნეობებსა და მრეწველობაში დააბანდეს 165 მილიონი მანეთი.

ამას გარდა, კოლმეურნეობებს მიეცა კრედიტი 55 მილიონი მანეთის რაოდენობით, აქედან მარტო 1935 წელს — 32 მილიონი მანეთი.

რა უნდა ვაკეთოთ ჩვენ შემდეგში ჩაის მეურნეობის განვითარებისა და განმტკიცებისათვის? საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებამ დაავალდებულა ამიერ-კავკასიის და საქართველოს პარტორგანიზაციები მიაღწიონ მეორე ხუთწლედში ჩაის მეურნეობის ისეთ განვითარებას, რომ ძირითადად დაკმაყოფილებულ იქნას საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება ჩაის მხრივ. **ამისათვის, ამხანაგებო, არსებულ პლანტაციებზე და ფაბრიკებში მუშაობის გაუმჯობესებასთან ერთად ჩვენ შემდეგშიაც უნდა გავაფართოვოთ ჩაის პლანტაციები.**

თქვენ გახსოვთ, როგორ გამოედევნენ ოთხიოდე წლის წინათ ჩაის ფართობების გადიდების არარეალურ გეგმებს, არსებულ შესაძლებლობებათა გაუთვალისწინებლად. ამბობდნენ, რომ ერთი წლის განმავლობაში შეიძლება გაშენდეს 35—40 ათასი ჰექტარი ჩაის პლანტაციით. ეს დაგმო საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა. მაგრამ ზოგიერთი ამხანაგი მეორე უკიდურესობაში ვარდება. არ შეიძლება განა, ამბობენ ისინი, შევაჩეროთ ჩაის ფართობების შემდგომი განვითარება. არ შეიძლება განა არ გავაფართოვოთ, არ გავადიდოთ ჩაის ფართობები. რასაკვირველია, ესეც დიდი შეცდომაა. მე ვფიქრობ, რომ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ძირშივე აღკვეთს ჩვენი ცალკე ამხანაგების ამ განწყობილებებს, დღეს ჩვენ ყველა პირობა მოგვეპოვება იმისთვის, რომ წინ წავსწიოთ ჩაის პლანტაციების ფართობთა განვითარება, მოხსენებაში და რეზოლუციის დარიგებულ პროექტში დასახულია ფართობთა გადიდების ციფრი—8 ათასი ჰექტარი.

ჩაის ახალი პლანტაციების ეს 8 ათასი ჰექტარი უეჭველად უნდა გავაშენოთ. მე ვშიშობ, რომ ყველა ამხანაგს არ ესმის რას ნიშნავს 8 ათასი ჰექტარის გაშენება 2 წლის განმავლობაში, რომ ყველა ამხანაგი მტკიცედ არ გრძნობს პასუხისმგებლობას ამ საქმისათვის. ეს სჩანს თუნდაც იქიდან, რომ კამათში გამოსულთა შორის არც ერთს არ უთქვამს, როგორ და რის გაკეთებას ფიქრობს იგი თავის რაიონში და რა რეზერვები გააჩნია მას ჩაის ნარგავთა ფართობის შემდგომი გადიდებისათვის. მოგველის უდიდესი მუშაობა. ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შემდეგ სათანადო ორგანოები უნდა შეუდგენ ამ საქმეს. საჭიროა უკვე ახლა დაიწყოს მუშაობა ჩაისთვის გამოსადეგი უბნების შესარჩევად. მართალი იყო ამხ. ლაკობა, როცა მან ესროლა რეპლიკა ამხ. ხუხუას, რომელიც ამტკიცებდა, რომ უკეთესი მიწები ჩვენ უკვე დავუთმეთ ჩაისო, არ არის ეს მართალი! მართალი არ არის, ამხ. ხუხუა, იმიტომ, რომ აქამდის მიწის ბევრ ნაკვეთს ჩაის ვუთმობდით იმ მიწებიდან, რომლებიც საერთოდ გამოუყენებელი იყო, ან ძალიან ცოტა თუ იყო გამოყენებული გლეხურ მეურნეობაში, ან იმ ნაკვეთებს, რომლებზედაც აქამდის იზრდებოდა გვიმრა (ადგილიდან: **სწორია!**), ან ისეთ ნაკვეთებსაც კი, რომლებზედაც შემდეგ იძულებული ვიყავით ხელი აგვეღო, რადგან არავითარი სამელიორაციო მუშაობა ამ ნაკვეთებზე არ ჩატარებულა.

მე იმიტომ შევჩერდი დაწვრილებით სწორედ ამ საკითხზე, რომ ვფიქრობ: **8 ათასი ჰექტარი 1936-37 წლებში უნდა გაშენდეს მიწის საუკეთესო ნაკვეთებზე.** ეს იმას ნიშნავს, რომ საჭიროა ნაკვეთების კარგად მომზადება, ამოძირკვა, შემოღობვა, რათა არ განმეორდეს გასული წლების პრაქტიკა, როცა რგავდნენ ჩაის, უამრავ თანხებს აბანდებდნენ ამ საქმეში, ხოლო შემდეგ კოლმეურნეთა და კერძო მეურნეთა ძროხები ან ღორები დადიოდნენ და აფუჭებდნენ დამუშავებულ ნაკვეთებს. საქართველოს მიწსახკომმაც და ადგილობრივმა სამიწათმოქმედო ორგანოებმაც მაგრად უნდა მოჰკიდონ ამ საქმეს ხელი, ხოლო, რაც მთავარია, პარტორგანიზაციებმა მთელი ეს საქმე თავის ხელში უნდა აიღონ.

ფართობების გადიდებასთან ერთად საჭიროა უფრო ენერგიულად შევუდგეთ მოსავლიანობის გადიდებას. ციფრი, რომელიც აქ რეზოლუციაშია ჩაწერილი და წარმოდგენილი აქვს განსახილველად პლენუმს — **1800 კილოგრამი ჰექტარზე, მინიმალური უნდა იქნეს ჩაის მოსავლისათვის 1937 წელს საქართველოში საშუალოდ.** მოსავლიანობის გადიდება დაკავშირებულია ჩაის ბუჩქზე ჩვენი მუშაობის ხარისხთან, მოსავლიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გამოიყურება ჩაის ბუჩქი. საქართველოს ცენტრალურმა კომიტეტმა გასულ წელს უკვე ერთხელ მტკიცედ მიუთითა ჩაის ბუჩქის მოვლის შესახებ. საჭირო იქნება ამ გადაწყვეტილების კიდევ ერთხელ განმეორება იმიტომ, რომ ყველგან არ არის უზრუნველყოფილი კარგი მოვლა, ყველგან არ უწევენ საჭირო მეთვალყურეობას ჩაის ბუჩქს.

რას ნიშნავს ჩაის ბუჩქის შესწავლა, მისი ცოდნა და კარგად მოვლა? ეს ნიშნავს, ჯერ ერთი, რომ ბრიგადები, რომლებიც მუშაობენ ჩაის პლანტაციებზე, უნდა იყვნენ მუდმივი და იმგვარად განაწილებული, რომ თვითეულ ბრიგადაზე მიმაგრებულ იქნას ცალკე უბანი; მეორე, აგრეთვე თვითეული ბრიგადის შიგნით ჯგუფებზე და ცალკე მუშებზე მიმაგრებულ უნდა იქნას ცალკე უბნები ბუჩქების განსაზღვრული რაოდენობით. ეს ნიშნავს, **რომ დამუშავების დროს ჩაის თვითეულ ბუჩქს უნდა მივუდგეთ დიფერენცირებულად.** თუ ბუჩქი კარგ მდგომარეობაშია, იგი უფრო ნაკლებ სასუქს მოითხოვს, თუ ბუჩქი არადამაკმაყოფილებლად გამოიყურება, საჭიროა მას მეტი სასუქი მივცეთ. ამჟამად კი ჩვენ ზოგჯერ მექანიკურად, შაბლონურად განვსაზღვრავთ სასუქის რაოდენობას და როგორც ჯანსაღ, ისე არაჯანსაღ ბუჩქებს სასუქს ვაწვდით მათი მდგომარეობის გაუთვალისწინებლად. ჯანსაღი ბუჩქებისათვის ეს შეიძლება საზიანო იყოს, არაჯანსაღ ბუჩქებს კი არ ყოფნიდეს. ხოლო როცა ბუჩქი აღრიცხული და შესწავლილია, როცა თვითეულ ბუჩქს თვალყურს ადევნებენ, ამოწმებენ და სწორად უვლიან, მაშინ ბუჩქი ნორმალურად და კარგად იზრდება. დიფერენცირებულად უნდა იქნას წარმოებული აგრეთვე გათოხნა: არის უბნები, სადაც შეიძლება საჭირო იყვეს ერთხელ გათოხნა. ხოლო სხვა უბნები მოითხოვენ ბევრჯერ გათოხნას. 4—5 ჯერ გათოხნის ნორმა არის საშუალო ნორმა. იგი დიფერენცირებულად უნდა შევუფარდოთ ცალკე უბნებს და ჩაის თვითეულ ბუჩქს.

თუ შეიძლება მხატვრულად გამოითქმა—**ჩაი წარმოადგენს აჟურულ მეურნეობას. ჩაის პლანტაცია მოგვაგონებს კარგად მოქარგულ აღმოსავლურ ხალიჩას. როგორც ხალიჩის მქსოველი ყურადღებით და ზუსტად მუშაობს ხალიჩაზე, ასევე ყურადღებით, მზრუნველობით და ზუსტად უნდა ვიმუშაოთ ჩვენი ჩაის პლანტაციების ხალიჩაზე.** თუ ბუჩქი არათავისდროზე ან არასაკმაოდ შეიკრიჭა, ამით შეიძლება მისი გაფუჭება, თუ ნორმაზე მეტად შეიკრიჭა, ამითაც შეიძლება მისი გაფუჭება. ჩაი მოითხოვს კულტურულ მიდგომას.



საჭიროა უკეთ დავეუფლოთ ჩაის საქმის ტექნიკას. ბევრი ამხანაგი ფიქრობს, რომ ჩვენ უკვე დავეუფლეთ ამ საქმეს: ჩვენ ხომ ასე ბევრ ჩაის ვიძლევით, პლანტაციები საკმაოდ კარგად გამოიყურებიან და თითქოს ყველაფერი რიგზეა, ეს არ არის მართალი. ჩვენ რომ დაგვეწყო ლაპარაკი — უკვე დავეუფლეთ ტექნიკას, ყველაფერი ვიცით და არაფრის სწავლა აღარ გვჭირდებაო, ეს დიდი შეცდომა იქნებოდა. ჩვენ ჯერ კიდევ ბევრ რამეში ჩამოვრჩებით ჩაის მეურნეობის სწორად, საქმის ცოდნით წარმოების მხრივ. მართალია, ჩვენ საკმაოდ გვყავს კარგი აგროტექნიკოსები, რომლებიც იცნობენ ჩაის საქმეს, მაგრამ, ჯერ ერთი, მათაც ჯერ კიდევ სჭირდებათ სწავლა, ხოლო, მეორე, ბევრ მათგანს ჯერ კიდევ აკლია საქმის ბოლშევიკურად მოწყობის უნარი, არ კმარა იცოდე ჩაის საქმე, იყო მარტო კონსულტანტი. ასეთი ცოდნა საკმარისია ლაბორატორიისთვის, პატარა მეურნეობისთვის, მაგრამ როცა ჩვენ გვაქვს ჩაის მეურნეობა სამრეწველო მასშტაბით, აქ საჭიროა არა მარტო ჩაის კულტურის აგროტექნიკის ცოდნა, არამედ საჭიროა აგრეთვე წარმოების მოწყობის, მასთან დაკავშირებული ყველა პროცესის ცოდნა, საჭიროა შრომის მოწყობის, ადამიანთა კადრების სწორად განაწილების ცოდნა. უამისოდ ჩვენი მეურნეობა მუდამ იკოჭლებს ხან ერთი ფეხით, ხან მეორეთი, და შეიძლება ორივე ფეხითაც.

ამასთან დაკავშირებით, მე მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა ჩაის სამეცნიერო - საგამოკვლევო ინსტიტუტის მუშაობაზე. ეჭვს გარეშეა, ინსტიტუტს აქვს მთელი რიგი მიღწევები, რომელთაგან პირველია ის, რომ თვითონ ეს ინსტიტუტი შეიქმნა და არსებობს. ცარიელ ადგილზეა აგებული და მოწყობილი კარგი ინსტიტუტი, მაგრამ ინსტიტუტს ბევრი რამ აკლია.

პირველ ყოვლისა იგი ნაკლებად არის დაკავშირებული კოლმეურნეობებთან. რაში უნდა გამოიხატებოდეს ეს კავშირი? ინსტიტუტს კოლმეურნეებს შორის უნდა ჰყავდეს მცდელების მთელი არმია. ინსტიტუტი უნდა მუშაობდეს ამ ცდებზე, თვალყურს ადევნებდეს მათ, ახდენდეს მათი ნაშრომების განზოგადებას, ანალიზს უკეთებდეს მათ და, შემდეგ, დაამუშავებს რა რომელიმე პრობლემას, ინსტიტუტმა იგი გადასაწყვეტად უნდა წარუდგინოს ჩაის მთელ მეურნეობას. ხდება თუ არა ეს? არა, არ ხდება. ალაგალაგ საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში ზოგიერთი რამ არის, ინსტიტუტი აკეთებს, მაგრამ სრულიად არა იმას, რაც დღეს საჭიროა სამეცნიერო - საგამოკვლევო მუშაობის სწორად და ფართოდ წარმოებისათვის ჩაის მეურნეობაში. **არ ვარგა ჩამორჩენა და არც ერთად სიარული. ინსტიტუტი წინ უნდა იყვეს ჩაის მეურნეობის გაძღოლის და განვითარების საქმეში. სამეცნიერო - საგამოკვლევო ინსტიტუტი წინ უნდა უძღოდეს ჩაის მეურნეობას.** ამას კი ჯერჯერობით ვერ ვხედავთ. ხომ არის ფაბრიკები, რომლებშიაც ჩაის პრაქტიკული გადამუშავების საქმე დაყენებულია უკეთ, ვიდრე სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტში. თვით ინსტიტუტს არა აქვს კარგი საცდელი ჩაის ფაბრიკა და ხდება ხოლმე, რომ მუშაობის ზოგიერთ პროცესს იგი ატარებს თვით ინსტიტუტში, ხოლო სხვა პროცესებს — ფაბრიკებში. საჭიროა დავეხმაროთ ინსტიტუტს აიგოს თავისი კარგი საცდელი ფაბრიკა. ინსტიტუტი ინტენსიურად უნდა მუშაობდეს ჩაის მეურნეობის მექანიზაციის საკითხებზე, არ უნდა კმაყოფილდებოდეს იმ მცირედით, რაც ამჟამად კეთდება ამ დარგში. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ არ იყოს ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს სამეცნიერო - საგამოკვლევო ინსტიტუტი ჯერჯერობით თვითონ უფრო სწავლობს, ვიდრე სხვებს ასწავლის და ეხმარება. სამეცნიერო - საგამოკვლევო ინსტიტუტის ნაკლოვანებებზე კიდევ იმიტომ ვჩერდები, რომ აქ გამოვიდა ამ ინსტიტუტის დირექტორი ამხ. ბობოხიძე და დაიწყო ლაპარაკი ინსტიტუტის საქმეთა ვითარებაზე ლოზუნგით: „გამარჯვებისა დავცხოთ ყიყინს". თურმე, იგი უკვე შეჭრილია ზაქათალაში, ლენქორანში, ყირიმსა და სხვა რაიონებში და იქ ეწევა მუშაობას. ამხანაგებო, თავდაპირველად შენი საქმე უნდა მოაგვარო მტკიცედ და მხოლოდ მერე შეგიძლია შენი რაიონის ფარგლებს გასცილდე. თვითდამშვიდებასა და ლაპარაკს იმაზე, ყველაფერს უკვე მივაღწიეთო, — აუცილებლად მოსდევს ზრდის ჩამორჩენა, ეს აუცილებლად გვართმევს იმპულსს და სტიმულს შემდგომი წინსვლისათვის. ამხ. ბობოხიძე ამ ნაკლისაგან უნდა განთავისუფლდეს. ამხ. ბობოხიძე ხელმძღვანელობს ინსტიტუტს, ინსტიტუტში მუშაკთა საკმაოდ კარგი კოლექტივი მოიპოვება და მათ ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ.

ამხანაგებო, მთელი ჩვენი მუშაობა ჩაის მეურნეობის ყოველი ხაზით, საბჭოთა მეურნეობებშიცა და კოლმეურნეობებშიც, სამეცნიერო - საგამოკვლევო ინსტიტუტშიც—ჩვენგან დიდ ყურადღებასა და ზრუნვას მოითხოვს კადრების, მათი აღზრდისა და მომზადების მიმართ. კადრების საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას საბჭოთა მეურნეობებში. მუდმივი კადრები თუ არ გვეყოლა, ისე ჩვენი საბჭოთა მეურნეობები ვერ იხეირებენ. ჩაი—რთული კულტურაა, რომელსაც განსაზღვრული ჩვევები და უნარი ესაჭიროება. თქვენ რომ მუშა თვეში ორჯერ ცვალოთ, არაფერი გამოგივათ. მეორე მხრივ, საბჭოთა მეურნეობები მდებარეობენ იქ, სადაც დიდათ გადატვირთული არიან სპეციალური და ტექნიკური კულტურებით კოლმეურნეობანი, რომლებითაც გარემოცული არიან ეს საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობანი ვერ აღმოუჩენენ დიდ დახმარებას მუშახელით საბჭოთა მეურნეობებს. ამიტომ საბჭოთა მეურნეობებში უნდა შევქმნათ მუშათა მუდმივი კადრები და მათთვის გამუდმებით ვიზრუნოთ. ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, თუ რითი უნდა გამოიხატებოდეს ჩვენი ზრუნვა მუდმივ მუშათა კადრებისათვის. ამის შესახებ გვაქვს ც. კ-ის რამდენიმე გადაწყვეტილება, ამ საკითხზე სპეციალური თათბირიც იყო მოწვეული, მაგრამ ზედმეტი არ იქნება, აქაც მოვილაპარაკოთ ერთხელ კიდევ ამ საკითხებზე.

უწინარეს ყოვლისა, მუშები უნდა უზრუნველვყოთ ბინით. ბინის ნაკლებობა ცოტად თუ ბევრად საგრძნობია ყველა საბჭოთა მეურნეობაში, ხელი უნდა ავიღოთ დიდ საერთო - საცხოვრებლებზე საბჭოთა მეურნეობებში, განსაკუთრებით თუ ისინი უხეიროდ აგებული და უვარგის ყაზარმებს ჰგავს. ამ ყაზარმებში მობილიზაციის წესით შეიძლება ცოტა ხანს იცხოვრო, მაგრამ ხანგრძლივად იქ კმაყოფილებით არავინ გაგიჩერდებათ და მუდმივ მუშებს ამ ყაზარმებში ვერ შეინარჩუნებთ. უნდა ავაგოთ ეგრეთწოდებული ინდივიდუალური სახლები, სადაც მოთავსდება ორი, სულ ბევრი — 3—4 ოჯახი. უნდა უზრუნველვყოთ მუშათა ოჯახები პატარა ბოსტნებითაც ამ სახლებთან. ყველა საბჭოთა მეურნეობას აქვს ამისი შესაძლებლობა. საჭიროა, ამ სახლებში მცხოვრებ მუშებს ჰქონდეთ 15—20 ძირი ციტრუსოვანი ნარგავი. საბჭოთა მეურნეობებმა მათ ნერგი უნდა მისცენ. საჭიროა, საბჭოთა მეურნეობების მუშათა უბნებში გვქონდეს წყალი, სინათლე, აბანო, კარგი გზა.

ამხანაგებო, თუ ყველაფერ ამას გავაკეთებთ, ამით უზრუნველყოფთ საბჭოთა მეურნეობებს მუშათა მუდმივი კადრებით. სადაც ეს უკვე გაკეთებულია, მუშები რამდენიმე წლობით ცხოვრობენ და არათუ არ გარბიან, არამედ, პირიქით, სამუშაოთ მოჰყავთ თავისი ნათესავები და ნაცნობები. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ საბჭოთა მეურნეობებში ავაგოთ სკოლები. მუშათა ბავშვები უნდა სწავლობდნენ და იზრდებოდნენ თვით საბჭოთა მეურნეობებში გახსნილ სკოლებში. უკვე დროა განსახკომმა გარდაქმნას თავისი მუშაობა. უნდა დავგეგმოთ სკოლები არა მარტო ადმინისტრატიულ ცენტრებისთვის, არამედ სამრეწველო და სოციალისტურ კერებისთვისაც, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში მრავლდებიან. ბავშვები, რომელნიც ჩაის მეურნეობის შუაგულში აღიზრდებიან, შემდეგ საუკეთესო მუშაკები იქნებიან და მომავლისათვის კადრების რეზერვი გახდებიან.

გზატრანსსაც მოუხდება სხვანაირად დაგეგმოს გზათა ქსელის განვითარება. გზები უნდა გავიყვანოთ ფაბრიკებისა და საბჭოთა მეურნეობებისაკენ, ხოლო მათგან — რკინისგზისა და ცენტრებისაკენ. საბჭოთა მეურნეობებს უნდა დავეხმაროთ, რათა მათ გაიყვანონ და გააუმჯობესონ გზები საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიის შიგნით. **საბჭოთა მეურნეობები სანიმუშო და სამაგალითო მეურნეობები უნდა იყვნენ მახლობელი კოლმეურნეობებისათვის.**

უნდა ვიზრუნოთ იმისთვისაც, რომ ჩვენი საბჭოთა მეურნეობანი კულტურულად გამოიყურებოდნენ. ჩაის პლანტაციების კარგად მოვლა უზრუნველყოფილი უნდა იყოს მაგრამ თვითონ საბჭოთა მეურნეობასაც კულტურული, დეკორატიული სახე უნდა ჰქონდეს და საბჭოთა მეურნეობის დეკორატიული მცენარეები მისთვის დამხმარე მეურნეობას უნდა წარმოადგენდნენ. **ამიტომ საჭიროა, ყოველ ჩაის საბჭოთა მეურნეობაში დავრგოთ მანდარინი, ლიმონი, იაპონური ხურმა, მუშმულა, ბროწეული, დაფნა, ლეღვი, ვაზი, ევკალიპტი, ტუნგო და ყოველგვარი სხვა ხეხილი. ეს იქნება, ჯერ ერთი, დეკორაცია, რომელიც საბჭოთა მეურნეობას დაამშვენებს, მეორეც, დამხმარე მეურნეობა; ამ ნარგავთა შემოსავალი შეიძლება გამოვიყენოთ საბჭოთა მეურნეობების მუშათა ყოფაცხოვრების და კულტურის გასაუმჯობესებლად.** ასეთი მეურნეობის მაგალითს წარმოადგენს ჩვენი ძველი ჩაქვის საბჭოთა მეურნეობა. თქვენ ჩაქვის საბჭოთა მეურნეობაში რომ ჩადიხართ, ჰხედავთ ჩაის კარგ პლანტაციებს და მრავალ სხვადასხვა ნარგავს, რაც საბჭოთა მეურნეობას კულტურულ სახესაც აძლევს და სარგებლობა მოაქვს. ყოველ საბჭოთა მეურნეობაში უნდა გვქონდეს სუბტროპიკულ კულტურათა პატარა სანერგე, საიდანაც ნერგით უნდა მოვამარაგოთ როგორც თვითონ საბჭოთა მეურნეობა და მისი მუშები, ისე საბჭოთა მეურნეობის ახლომახლო მდებარე კოლმეურნეობანი, რათა კოლმეურნეებმა, ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ნერგის მიღების გზით, თითონაც განავითარონ ეს კულტურები. კოლმეურნეობებისათვის ასეთი დახმარების გაწევით საბჭოთა მეურნეობანი კოლმეურნეთა ყურადღებასა და სიყვარულს დაიმსახურებენ.

საბჭოთა მეურნეობის კარგი დირექტორი ყოველთვის შეძლებს დაამყაროს კოლმეურნეებთან ისეთი ურთიერთობა, რომ კოლმეურნეები დირექტორის მოუკითხავადაც კი, თითონ მივიდენ საბჭოთა მეურნეობაში სამუშაოდ, როცა დაინახავენ, რომ მას მათი დახმარება ესაჭიროება. ჩვენ გვყავს საბჭოთა მეურნეობების მთელი რიგი დირექტორები, რომლებმაც ამ მხრივ უკვე კარგი მაგალითები გვიჩვენეს. აი, მაგალითად, ამხ. ბირიძე, რომელიც ამჟამად დავაწინაურეთ ლიმონ-მანდარინის ტრესტის დირექტორად. ჩვენ იგი რამდენიმე წლის წინათ გადავიყვანეთ ყველაზე უფრო მივიწყებულ ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობაში. ეს ძალიან დიდი საბჭოთა მეურნეობაა, რომელსაც დაახლოებით 840 ჰექტარზე მეტი ჩაის პლანტაცია აქვს. ახლა ძნელად თუ იცნობთ ამ საბჭოთა მეურნეობას. იგი მოყვანილია წესრიგში. ჩაის პლანტაციების მდგომარეობა კარგია. გაჩაღდა გზების მშენებლობა, შექმნილია დიდი დამხმარე მეურნეობა, დარგულია ქარსაცავი ხეები. ერთი სიტყვით, გაკეთებულია ყველაფერი, რაც კარგი დიდი დასაწყისისათვის არის საჭირო. საბჭოთა მეურნეობას შეუძლია კიდევ უფრო გაიზარდოს და გაუმჯობესდეს და ეს მან უნდა მოიმოქმედოს. რათქმა უნდა, საქმის ასეთ ვითარებას საბჭოთა მეურნეობაში ხელი შეუწყო იმ დახმარებამ და ზრუნვამ, რომელსაც მას ჩვენი პარტიის აჭარისტანის საოლქო კომიტეტი უწევდა. **პარტიული ორგანიზაციების მხრივ დახმარების და ზრუნვის გაუწევლად ჩვენ საერთოდ ვერ წარმოგვიდგენია ჩვენი საბჭოთა მეურნეობების მუშაობა და ზრდა.** მაგრამ ბევრი რამ გააკეთეს თვითონ საბჭოთა მეურნეობის ყოფილმა დირექტორმა ამხ. ბირიძემ და მისი მეთაურობით მომუშავე კოლექტივმა. მე ვურჩევდი რაიკომთა ბევრ მდივანს, მით უფრო საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს დაეთვალიერებინათ ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობა და დარწმუნებულიყვნენ, თუ რად შეუძლია გადააქციოს საბჭოთა მეურნეობა ორი წლის კარგმა მუშაობამ. მახარაძის რაიონში არის საქართველოს მასშტაბით ყველაზე დიდი ჩაის საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც აქვს 1000-მდე ჰექტარი, —ეს არის კიროვის საბჭოთა მეურნეობა. წინათ იგიც ძალიან მოუვლელი იყო. ამჟამად, თუმცა იგი ჩამორჩება ქობულეთის რაიონის ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობას, მაგრამ უკვე კარგად გამოიყურება და მტკიცედ დგას ფეხზე. ეს მიეწერება მახარაძის რაიონის პარტიული ორგანიზაციის დახმარებას, ამ საბჭოთა მეურნეობის დირექტორის ამხ. გიორგაძის და მის მუშაკთა კოლექტივის მუშაობას.

ხოლო აი სხვა ხასიათის მაგალითი — ესაა ზუგდიდის რაიონის ჯოლეჯიანის საბჭოთა მეურნეობა. ეს საბჭოთა მეურნეობა სულ სხვანაირად გამოიყურება. მისი დირექტორი ამხ. კიზირია საკმაოდ დაბნეული მუშაკი აღმოჩნდა. ჩაი იქ მოუვლელია, ბინები ცუდ მდგომარეობაშია, საბჭოთა მეურნეობა მუშებით არ არის უზრუნველყოფილი. მას კიდეც მოციქულები გაუგზავნია ვორონეჟის ოლქში მუშების ჩამოსაყვანად და უცდის — ჩამოვლენ და ჩაის პირველ გათოხნას ჩაატარებენო. მისი დამოკიდებულება მეზობელ კოლმეურნეებთან, მე ვიტყოდი, მტრულიც კი არის. კოლმეურნეობათა ჩაის პლანტაციები, რომლებიც ამ საბჭოთა მეურნეობის ირგვლივ მდებარეობენ, გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე საბჭოთა მეურნეობის პლანტაციები.

მიუხედავად ცენტრალური კომიტეტის მითითებისა, ამხ. კიზირია ცხოვრობს ზუგდიდში და არა საბჭოთა მეურნეობაში. ზუგდიდში თავისი ყოფნა მან ასე დაასაბუთა: რაიონულ ორგანიზაციებში, ბანკში მიხდება სიარულიო. რასაკვირველია, ასეთი დირექტორი ვერ უზრუნველყოფდა საბჭოთა მეურნეობის მუშაობის ნამდვილ ხელმძღვანელობას და მართებულად მოიქცა პარტიის ზუგდიდის რაიკომი, ასეთი დირექტორი რომ მოხსნა.

ჩვენი შემდგომი მუშაობის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ტრესტ „საქართველოს ჩაის" და მისი საბჭოთა მეურნეობების ფინანსიური მდგომარეობის გამოკეთება. ჯერჯერობით ჩვენ მომჭირნეობით ვერ ვეპყრობით საბჭოთა მანეთს. 1934 წელი ჩვენ დავამთავრეთ დიდის გარღვევით, დაახლოებით 6 მილიონზე მეტი მანეთის გარღვევით. მოჰყვა თუ არა ამას რაიმე განგაში ტრესტის დირექციაში ან საბჭოთა მეურნეობის მუშაკებს შორის? არა. „გვაქვს 6 მილიონი მანეთის გარღვევა, — მერე რა ვუყოთ, მოვითხოვთ და კიდევ მოგვცემენ. მეურნეობა დიდია, მაშასადამე, გარღვევაც შეიძლება გვქონდესო". ასე მსჯელობა უკვე აღარ შეიძლება, ასე მუშაობის ნებას თქვენ არავინ მოგცემთ, ეს დანაშაულია, ხოლო დანაშაული ისჯება. ჩვენ, ამხ. ბაუმფელდსა და სუბტროპიკულ სამმართველოსთან ერთად დიდის ვაივაგლახით შევძელით მიგველო ამხ. ჩერნოვისაგან ეს თანხა გარღვევის დასაფარავად. საკავშირო მიწსახკომში არც ამხ. ჩერნოვს აქვს ზედმეტი ფული, მას იგი შემონახული როდი უწყვია ჩვენი გარღვევების დასაფარავად. ჩვენ კი ზოგჯერ როგორღაც ადვილად ვეკიდებით მილიონებს, ნაკლებად ვანგარიშობთ მათ. **ჩაის მეურნეობის განვითარების პირველ პერიოდში ჩვენ ვღებულობდით და ვაბანდებდით მასში დიდძალ თანხებს. ახლა საქმე სხვანაირად არის. სახელმწიფოს ხარჯზე კაპიტალის შემდგომ დაბანდებასთან ერთად პარტია და მთავრობა მოითხოვენ — გავადიდოთ საბჭოთა მეურნეობების შემოსავლიანობა, შევქმნათ საკუთარი დაგროვებანი.** უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ტრესტის დირექციამაც, საბჭოთა მეურნეობების ყველა მუშაკმაც იცოდეს, რა როგორ ფასობს, იმუშაოს ჭკუით, ანგარიშიანად, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე შეიძლება ჩაიშალოს. **ტრესტის და საბჭოთა მეურნეობების მუშაობაში უნდა დამყარდეს მტკიცე საფინანსო დისციპლინა უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენი საბჭოთა მეურნეობები რენტაბელური გახდენ.** შემოსავლიანობის და საკუთარ დაგროვებათა გადიდების საქმეში საბჭოთა მეურნეობების დირექტორების ინიციატივის წასაქეზებლად საჭიროა ერთგვარი სტიმული შევქმნათ. საჭიროა შემოვიღოთ ასეთი წესი: თუ საბჭოთა მეურნეობა გადაჭარბებით შეასრულებს გეგმას და თავისი ხარჯთაღრიცხვის საშემოსავლო ნაწილს, დირექციას უფლება ეძლევა თავის განკარგულებაში დაიტოვოს გეგმის გადაჭარბებით შესრულებისაგან მიღებული სახსრების 50 პროცენტი, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნას საბჭოთა მეურნეობის დირექტორის შეხედულების მიხედვით.

შემდეგი საკითხი — ეს არის ტრესტ „საქართველოს ჩაის" გაყოფა. აქ ზოგიერთი ამხანაგი გაყოფის წინააღმდეგ გამოდიოდა. მათი გამოსვლა კრიტიკას ვერ უძლებს. **ჩაის მეურნეობა კოლოსალურად გაიზარდა. ტრესტს 15 საბჭოთა მეურნეობა და 28 ფაბრიკა აქვს. მათთვის ხელმძღვანელობის გაწევა ძნელი ხდება, ამიტომ ტრესტი უსათუოდ უნდა გაიყოს. ამით ჩვენ გავაუმჯობესებთ როგორც ფაბრიკების, ისე საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობას.**

საჭიროა აგრეთვე მეტი ყურადღება მიექცეს ჩაის ფაბრიკების მუშაობას. **ჩაის ფაბრიკების მუშაობის ხარისხი უნდა გაუმჯობესდეს.** ფაბრიკები, ისე როგორც საბჭოთა მეურნეობები,

(დასასრული იხ. მე-2 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. ლ. ბერიას გამოსვლა

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1935 წლის 31 მაისს

უნდა დამშვენდენ ნარგავებით, რომლებიც ფაბრიკებს დამატებით შემოსავალსაც მისცემენ. შეუძლებელია, ჩაის ფაბრიკა მოშიშვლებულ ადგილზე იდგეს, მას გარს უნდა ერტყას ერთგვარი პატარა საბჭოთა მეურნეობა ციტრუსოვანი და სხვა კულტურების ნარგავებით. ეს ეხება გარეგან მხარეს, ხოლო ყველაზე უფრო მთავარია—მუშაობის შინაგანი განაწესი რა გვაქვს ჩვენ ახლა? ზოგიერთი ფაბრიკების შენებლობა ჯერაც არ დამთავრებულა, ჩვენ კი ამ ფაბრიკებში უკვე წარმოებას ვიწყებთ. ფაბრიკის დარბაზში კირი, გაჯი, აგური, სალებავები და სხვ. ჰყრია, მათგან ორ ნაბიჯზე კი, იმავე დარბაზში გასაშრობად გაუშლიათ ჩაის ფოთოლი. ეს, რასაკვირველია, შეუწყნარებელი რამ არის. ფაბრიკა რამდენიმე თვის განმავლობაში მაინც უნდა შრებოდეს, სანამ იქ გადასამუშავებლად ჩაის ფოთოლს შევიტანდეთ.

ჩაის ფაბრიკა, ჩემის აზრით, უნდა მოგვაგონებდეს კარგი ქირურგის კარგ საოპერაციო დარბაზს, რომელშიაც ძნელად შეამჩნევ რაიმე მტვერს. ხოლო ახლა ეს სრულიადაც არ არის ასე. ამას წინათ ამხანაგ მგალობლიშვილთან, კუდრიავცევთან, აღნიაშვილთან, კეკელიასა და გეურქოვთან ერთად დამტვერიანებული ჩექმებით შევედით ერთერთ ფაბრიკაში. არავის უკითხავს, სად მივდივართ, რისთვის მივდივართ; არავის მოუთხოვნია ფაბრიკაში შესვლის დროს სანიტარული წესების შესრულება. ფაბრიკის ყოველ მუშას უნდა ჰქონდეს სუფთა, თეთრი წინსაფარი, ეცვას სპეციალური ფეხსაცმელი, ურომლისოდაც არც ერთი კაცი არ უნდა შეუშვან ფაბრიკაში, თუნდაც იგი მარტო მის დასათვალიერებლად მიდიოდეს. ეს რომ გაკეთდეს, საჭირო როდია, დიდი ხარჯები; საჭიროა მხოლოდ საქმის [illegible] მოწყობის სურვილი და უნარი. ჩაის ფაბრიკების ახალმა ტრესტმა და რაიონულმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა შემოიღონ ფაბრიკებში [illegible] წესრიგი და მიაღწიონ მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას.

* *

ამხანაგებო! ჩაის მეურნეობის შესახებ რომ ვლაპარაკობთ, უმართებულო იქნებოდა რამდენიმე სიტყვა არ გვეთქვა ციტრუსებზე, თუმცა ეს საკითხი არ ყოფილა დასმული საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დღის წესრიგში. სადაც არის ჩაი, იქ გინდა თუ არა, უნდა იყოს ციტრუსოვანთა კულტურაც. ციტრუსების დარგში ჩვენ, რასაკვირველია, ნაკლები გვაქვს გაკეთებული, ვიდრე ჩაის საქმეში, თუმცა, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და პირადად ამხ. სტალინის მითითებების და დახმარების შემწეობით, ჩვენ აქაც მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს. ჩვენი სპეციალისტების და ხელმძღვანელ კომუნისტთა შემადგენლობიდან იტალიაში, აფრიკაში, კალიფორნიაში, ფლორიდასა და სხვა ქვეყნებში გავგზავნეთ ამხანაგთა ჯგუფი. საზღვარგარეთ ისინი გაეცნენ ამ საქმეს, მიიღეს დიდი გამოცდილება და ახლა ამ გამოცდილებას იყენებენ ჩვენში — ციტრუსოვანთა კულტურების განვითარების საქმისთვის. ციტრუსოვანთა კულტურების განვითარებისათვის დიდძალი ფულია გაცემული. შარშან ჩვენ შემოვიტანეთ ბევრი საიმპორტო ნერგი და უკვე გვაქვს საკმაოდ კარგი საკუთარი ნერგი. **მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი მუშაობა მოგვიხდება, რათა ციტრუსების მეურნეობა ფეხზე დავაყენოთ, რათა შევასრულოთ ნაკისრი ვალდებულებანი და ჩვენი ქვეყნის მუშას სუფრაზე მივაწოდოთ მანდარინი, ლიმონი და ფორთოხალი.**

ამას წინათ ჩვენ დავათვალიერეთ ჩვენი ახალი ციტრუსების საბჭოთა მეურნეობები. არის საბჭოთა მეურნეობები, სადაც მართლაც უმუშავნია პარტორგანიზაციას და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობას. ეს საბჭოთა მეურნეობები სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებენ. ავიღოთ ისეთი პატარა ახალი საბჭოთა მეურნეობა, როგორიცაა ბლომბარის საბჭოთა მეურნეობა აჭარისტანში, ურეკისა — მახარაძის რაიონში, ან ნატანების საბჭოთა მეურნეობა (უნდა ითქვას, რომ ნატანების საბჭოთა მეურნეობაში შეიძლება და უფრო მეტად საჭიროცაა ლიმონის გაშენება, ვიდრე ჩაისა). ეს საკმაოდ კარგი საბჭოთა მეურნეობებია. მე მინდა განსაკუთრებით შევჩერდე ურეკის საბჭოთა მეურნეობაზე. ორნახევარი წლის წინათ ეს საბჭოთა მეურნეობა უყურადღებოდ იყო მიტოვებული. არავის ჰქონდა იმედი, რომ იგი გამოსწორდებოდა. ჩვენ იქ გავგზავნეთ ამხ. მაისურაძე. აქ ტფილისში სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირში იგი ვერ მუშაობდა მაინცდამაინც რიგიანად, მაგრამ საბჭოთა მეურნეობაში შესძლო მუშაობის მოგვარება და საბჭოთა მეურნეობა ამჟამად ძალიან კარგ მდგომარეობაშია. პირდაპირ სიამოვნებას გრძნობ, როცა მას ათვალიერებ. გაშენებულია 100 ჰექტარზე მეტი მანდარინი. გასულ წელს საბჭ. მეურნეობამ მოგვცა 250 ათასი ცალი მანდარინი, წელს კი მოგვცემს სულ ცოტა 2 მილიონ ცალს მაინც, მომავალ წელს 10 მილიონზე მეტს, ხოლო 1937 წლის დამლევს და 1938 წლის დამდეგისთვის გვპირდებიან 20—30 მილიონ ცალს. ყველა ბუჩქი კარგ მდგომარეობაშია. ადამიანებს ყოველი ბუჩქი შეუსწავლიათ, კარგად იცნობენ მას და ეხმარებიან ზრდაში.

მაგრამ არიან საბჭოთა მეურნეობების ისეთი ხელმძღვანელებიც, როგორიცაა ამხ. ელენტი—კვირიკეს საბჭოთა მეურნეობის დირექტორი აჭარისტანში. ეს საბჭოთა მეურნეობაც უყურადღებოდ იყო მიტოვებული, ტრესტი, ხშირად სცვლიდა მასში ხელმძღვანელობას. თუმცა დიდიხანი არაა, რაც ამხ. ელენტი საბჭოთა მეურნეობაში იმყოფება, მაგრამ იგი უკვე უნდა გასცნობოდა საქმეს. ნამდვილად კი ახლაც არ იცის კარგად, სად და რა აქვს მას. ჩვენ რომ ვიყავით საბჭოთა მეურნეობაში, იგი გვეუბნებოდა: ციტრუსები საბჭოთა მეურნეობის დირექციის შენობასთან გასულ წელსაა დარგული. არ იცოდა, რომ ეს ხეები ჩვენ უკვე ვნახეთ ორი წლის წინათ, საბჭოთა მეურნეობაში ყოფნის დროს. შემდეგ სცადა გადასხვაფერება: მხოლოდ ცოტაოდენი რემონტი ჩავატარეთ, ეგება, ეგება და ამოაჩინა ორი შერემონტებული ხე (სიცილი). საერთოდ კვირიკეს საბჭოთა მეურნეობა ახლაც ცუდ მდგომარეობაშია. საბჭოთა მეურნეობას ეხმარებიან, მაგრამ ამხ. ელენტი ჯეროვნად ვერ სარგებლობს ამ დახმარებით. იმის შემდეგ, რაც ჩვენ მას მკაცრად მოველაპარაკეთ, ამხ. ელენტი უახლოეს ორ-სამ დღეს მაინც უნდა დარჩენილიყო საბჭოთა მეურნეობაში და ემუშავნა, როგორც საჭიროა. მაგრამ იგი, როგორც ჩანს, სხვანაირად სჯის. როცა ბათომიდან დაბრუნებისას ქობულეთში გავიარეთ, შევხვდით ამხ. ელენტს. ვკითხეთ, რისთვის ჩამოსულხარ-თქო. გამოირკვა, რომ იგი მეთაურობდა ვაგზლის გასაწმენდად მოწყობილ შაბათობას და თან ჩამოიყვანა საბჭოთა მეურნეობის მუშები (სიცილი). იმის ნაცვლად, რომ თავისი მოშლილი საბჭოთა მეურნეობა გაეწმინდა, იმის ნაცვლად, რომ თვითონ ითხოვოს დასახმარებლად შაბათობა, იგი თურმე ეხმარება ვაგზლის გაწმენდაში. ამხ. ელენტი კი ნიჭიერი, მცოდნე მუშაკია, ყოფილა პარტიულ სამუშაოზედაც, საბჭოთა და სამხედრო სამუშაოზედაც. მან უნდა იცოდეს მუშაობა. რასაკვირველია, ამხ. ელენტი გამოსწორდება, მას გამოასწორებენ, მას ყოველგვარი შესაძლებლობა მიეცემა გამოსწორებისათვის.

რა უნდა გავაკეთოთ ჩვენ შემდეგში ციტრუსების განვითარებისათვის? გაბედულად უნდა დავიკავოთ ციტრუსოვანი ნარგავებისთვის ახალი უბნები, ერთგვარი ტემპები ჩვენ უკვე ავიღეთ. ერთწლიანი ნერგები ჩვენ მოგვეპოვება. ახლა გადარგვა კი არ უნდა ვაწარმოოთ, არამედ უნდა დავრგოთ ორწლიანი ნერგები. უფრო ნაკლებად უნდა ვრგოთ მასივებად და უფრო მეტად მიკრორაიონებად, ცალკე უბნებად 3—5 ხე—10—30 ხე 100—200 და სხვ.

ამბობენ, ციტრუსებისთვის უკვე აღარ არის მიწაო. ეს მტკნარი სიცრუეა. მიწა რამდენიც გნებავთ, იმდენი გვაქვს. საჭიროა მხოლოდ გვქონდეს მისი შერჩევის და ამ კულტურებისთვის გამოყენების უნარი.

აჭარისტანში ჩვენ დავათვალიერეთ კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბერი“. შესანიშნავი კოლმეურნეობაა, ჩინებული კოლმეურნეობაა და იქ მშვენიერი ლიმონი ხარობს. ამ კოლმეურნეობაში მუშაობს კოლმეურნე უპენკა, რომელმაც ძალიან კარგად იცის ციტრუსების საქმე, მას ლიმონის ისეთი ხეები აქვს, რომ ამ დარბაზში 2—3 ხეზე მეტი ვერ დაეტევა: ყოველი ხისგან იგი ღებულობს 2.000 ცალამდე ლიმონს. ასეთი ხეები უნდა გავზარდოთ ჩვენს კოლმეურნეობებშიაც. ამ კოლმეურნის ზეგავლენით და საოლქო და რაიონული ორგანიზაციების მზრუნველობის შემწეობით, ბევრმა კოლმეურნემ დაიწყო ლიმონების დარგვა თავის მეურნეობაში. **კიდევ უფრო ფართოდ უნდა განვავითაროთ ციტრუსოვანი ნარგავები კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე.**

წელს საქართველომ ჩვენს ქვეყანას უნდა მისცეს არა ნაკლებ 150 მილიონი ცალი მანდარინისა და არანაკლებ 1 მილიონი ცალი ლიმონისა. პარტიულმა ორგანიზაციებმა კარგად უნდა იმუშაონ იმისათვის, რომ შეასრულონ ეს ამოცანა.

* *

პლენუმზე დღეს ჩვენ მოვისმინეთ ცნობა, რომ ჩრდილოეთ კავკასიასთან დაიდო სოცშეჯიბრების ხელშეკრულება მეცხოველეობის განვითარებაზე. ამის გამო მე მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა მეცხოველეობის საკითხზე.

ზოგი ჩვენი ამხანაგი მავნე თეორიას შეუპყრია: რაკი გაძლიერებით ვეწევით სპეციალური და ტექნიკური კულტურების განვითარებას, ჩვენთვის მეცხოველეობის აღმავლობის და განვითარების საკითხებს აღარა აქვს დიდი მნიშვნელობაო. ეს თეორია გადაჭრით უნდა დავგმოთ. უნარიანად უნდა შევუფარდოთ სპეციალური და ტექნიკური კულტურების განვითარება მეცხოველეობის განვითარებას. ერთი უნდა ეხმარებოდეს მეორეს. ამიტომ თუ ჩვენ შედარებით რიგიანად დავამთავრეთ 1934 წელი, გვქონდა რა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ზრდა 13,8 პროც., ხოლო წვრილფეხა პირუტყვისა 23,3 პროცენტით, 1935 წელს ჩვენ კიდევ უფრო დიდს და ახალ წარმატებებს უნდა მივაღწიოთ.

მე ვფიქრობ, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი დაადასტურებს, რომ ამიერ - კავკასიის რესპუბლიკებსა და ჩრდილო - კავკასიას შორის დადებული შეჯიბრების ხელშეკრულება და, კერძოდ, ის ხელშეკრულებანი, რომლებიც ცალკე დასდეს აჭარისტანმა, სამხრეთ - ოსეთმა და სიღნაღის რაიონმა ჩრდილო-კავკასიის ოლქებსა და რაიონებთან,— **მთლიანად და გადაჭარბებით იქნება შესრულებული და ამ ორ მხარის შორის მეცხოველეობის განვითარებისათვის შეჯიბრებიდან ამიერ - კავკასიის რესპუბლიკები გამარჯვებული გამოვლენ (ტაში).**

* *

პლენუმმა განიხილა სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის საკითხი. **დასაქონლიანების გაუქმებასა და სპეციალური და ტექნიკური კულტურების პროდუქტების ფასების გადიდებასთან დაკავშირებით, დიდი როლი ეკისრება კოოპერაციას და სახვაჭრობას სოფლად საქონელბრუნვის გაშლის საქმეში.** მიმდინარე წელს ჩაბარებული ჩაისა, თამბაქოსა, ციტრუსებისა და სხვა სასოფლო - სამეურნეო პროდუქტებში — სახელმწიფო გადაუხდის კოლმეურნეებს და ერთპიროვნულ მეურნეებს დიდძალ ფულს, რომელიც ჩვენ უკანვე უნდა მივიღოთ საქონელბრუნვის გაძლიერების, განვითარების და დაჩქარების გზით. ამიტომ ჩვენ მიმდინარე წელს უნდა უზრუნველვყოთ ჯეროვანი ასორტიმენტის, რაც შეიძლება მეტი საქონლის დროზე და უფრო ფართოდ შეტანა პირველ რიგში ჩაის, მეთამბაქოობის და მებამბეობის რაიონებში.

მეორე მხრით, ჩვენ უნდა აღმოვფხვრათ საქონლის ჩაწოლა, რასაც ადგილი აქვს კოოპერაციაში. კოოპერაციას ჰქონდა ასეთი პრაქტიკა: ყიდულობდენ ყველაფერს, რაც კი მოხვდებოდათ. საქონელმცოდნეები შესყიდული საქონლიდან პროცენტებს ღებულობდენ დამოუკიდებლად იმისა, იყო, მოთხოვნილება ამ საქონელზე თუ არა. აი მაგალითად, ცეკავშირმა ოდესაში შეიძინა დიდძალი ოდეკოლონი, ოდეკოლონს საპნის სუნი ასდის და დღემდე, საწყობებში ჰყრია. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყიდულობდენ და ამზადებდენ ისეთ საქონელს, რომელიც ჩვენში არ ჩაწვება.

რაიონულმა პარტორგანიზაციებმა უაღრესად სერიოზულად უნდა მოჰკიდონ ხელი კოოპერაციის მუშაობის საკითხებს. დღემდე ვაჭრობას და კოოპერაციას სრულიად არა საკმაო ყურადღება ექცეოდა. ხოლო ზოგჯერ მას ისეთ ყურადღებას აქცევდენ, რომელსაც კოოპერაციისათვის სარგებლობა არ მოჰქონდა. კოოპერაციას წინადადებას აძლევდენ: სასადილოები გახსენი: სადილები რაც შეიძლება იაფი, თითქმის უფასო უნდა იყოსო. თითქოს კოოპერაციას საიდანმე სუბსიდიები ეძლეოდეს. კოოპერაციიდან მიჰქონდათ სახსრები სხვადასხვა მიზნებისათვის. ასეთი წესი კოოპერაციას ვერ აზეირებს.

საქონელბრუნვის გაშლა საჭიროებს კოოპერაციის ფინანსიური ბაზის განმტკიცებას. მტკიცედ უნდა მოვკიდოთ ხელი ფინანსიური საქმეების მოგვარებას კოოპერაციაში, მისი კადრების შემდგომ შერჩევას და განმტკიცებას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის სამომხმარებლო საზოგადოებათა მუშაობას. უნდა უზრუნველვყოთ სოფლის სამომხმარებლო საზოგადოებათა გამგეობების არჩევითი წესი, უზრუნველვყოთ მასებთან მათი კავშირის გაძლიერება, კონტროლი და ანგარიშების გაუმჯობესება სოფლის სამომხმარებლო საზოგადოებათა მუშაობაში. ამ მხრივ ჩვენს რაიონებში საქმე ძალიან ცუდადაა.

უკეთ მუშაობს ჩვენი საქალაქო კოოპერაცია. საკმაოდ კარგად გამოიყურება ტფილისის სამომხმარებლო ორგანიზაციათა კავშირი, რიგიანად მუშაობს აჭარკოოპკავშირი. საქალაქო კოოპერაციამაც ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გააკეთოს, მაგრამ ჩვენ განსაკუთრებით უნდა მოვკიდოთ ხელი სოფლის კოოპერაციის განმტკიცებას და გაუმჯობესებას. დროა ბოლო მოვუღოთ გაფლანგვას, მტაცებლობას, სახსრების წაღებას და სოფლისათვის სრულიად უსარგებლო საქონლის უმსგავს შეყიდვას, რის შესახებაც მე უკვე ვილაპარაკე.

ცეკავშირს ამჟამად მოეპოვება ყოველგვარი პირობა იმისათვის, რომ სწრაფად და გადაჭრით გამოასწოროს თავისი მუშაობის დეფექტები და ნაკლოვანებანი. ამხ. შინიაშვილმა, ხუციანმა და ჯუღაშვილმა, ჯეროვნად უნდა იმუშაონ. რაიპარტორგანიზაციების დახმარებით მათ უნდა მიაღწიონ სოფლად კოოპერაციის მუშაობის გაჯანსაღებას და განმტკიცებას.

* *

ამხანაგებო, პლენუმზე ჩვენ მოვისმინეთ სამი პარტორგანიზაციის მოხსენებები: ტფილისის ორგანიზაციის სტალინის რაიონის, ქუთაისის საქალაქო და ჭიათურის რაიონული ორგანიზაციების. ჩვენ ეს რაიონები განგებ ავირჩიეთ და ვფიქრობთ, რომ პარტმუშაობის მდგომარეობა ამ ორგანიზაციებში დაახლოვებით მოგვცემს იმის სურათს, თუ რა მდგომარეობაშია პარტიული მუშაობა საქართველოს კომპარტიის ყველა ორგანიზაციაში. შესაძლოა ჩვენში მოიპოვებიან ცალკეული რაიონები, სადაც საქმე ამაზე უარესად არის, მაგრამ მთლიანად ეს სამი ორგანიზაცია საერთო სურათს იძლევა. მოხსენებებმა გამოაშკარავეს, რომ პარტმუშაობის დაყენების მხრივ ამ ორგანიზაციებში ჩვენ ჯერ კიდევ მრავალი ნაკლი გვაქვს.

საჭიროა, რათა ამხანაგებმა შეიგნონ და მტკიცედაც შეიგნონ, რომ პარტიული მუშაობის გაძლიერების და გაუმჯობესების ამოცანები პირდაპირ გამომდინარეობენ ამხ. სტალინის ლოზუნგიდან კადრების შესახებ, რომელიც მან გადაჭრით დააყენა მთელი პარტიის და მთელი ქვეყნის წინაშე. საჭიროა აღვზარდოთ და გარდავქმნათ მილიონობით ადამიანები, და ეს შეუძლია და უნდა ქნას თვითონ ჩვენმა პარტიამ თავისი გავლენით, ავტორიტეტით, მასების ორგანიზაციის გამოცდილებით. ხოლო ამისათვის საჭიროა უკეთ მოვაწყოთ ჩვენი პარტიულ-აღმზრდელობითი, ორგანიზაციული და მასობრივი მუშაობა.

აქვე უნდა გავაფრთხილო ზოგიერთი ამხანაგი პარტიული მუშაობის გარდაქმნისადმი ფორმალური მიდგომისაგან. ზოგიერთი ამხანაგი ფიქრობს, რომ მთავარია ის, თუ რამდენ პარტიულ და რამდენ სამეურნეო საკითხს იხილავენ პარტორგანიზაციები და პარტკომიტეტები. ამ მხრივ პროცენტებსაც კი ანგარიშობენ. ეს სწორი არ არის. პარტიული საკითხები არ უნდა დაუპირდაპიროთ სამეურნეო საკითხებს. ის, ვინც პარტსაკითხებს და სამეურნეო საკითხებს ერთმანეთს უპირდაპირებს, იმას პარტმუშაობის გარდაქმნის ამოცანები ფორმალურად გაუგია, და არა არსებითად. უნდა ჩავწვდეთ თვით მუშაობის შინაარსს, ამა თუ იმ პარტორგანიზაციის თვით მუშაობის არსებას. სრულიადაც არ არის დამახასიათებელი, როცა ამხანაგები ჩამოთვლიან- აი ამა და ამ პარტორგანიზაციამ 15 სამეურნეო და 3 პარტსაკითხი განიხილაო, ამა თუ იმ პარტორგანიზაციაში კამათის დროს 6 ან 7 კაცი გამოვიდა, ხოლო მოხსენება დიდი იყოო. შეიძლება მოხსენებები ფორმალურად დააყენოთ და კამათში გამოსულთა რიცხვი დიდი იყოს, მაგრამ პარტმუშაობა მოიკოჭლებდეს, შეიძლება 3—4 პარტსაკითხი განიხილოთ, მაგრამ იმდენად სერიოზული და ფართო, რომ მათ უბრალო არითმეტიკით ვერ შეაჯამებთ და ვერ გამოიანგარიშებთ.

პარტიული მუშაობის გაძლიერების პირველი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ უკეთ მოვაგვაროთ პარტიის წევრთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლება, ხოლო ამისათვის საჭიროა განსახილველ საკითხთა რაოდენობის არა არითმეტიკული გამოანგარიშება, არამედ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ პოლიტსწავლებას, კარგად დავაყენოთ პარტიის ისტორიის შესწავლა, განსაკუთრებით ჩვენში, ამიერ-კავკასიაში—ამიერკავკასიის და საქართველოს პარტორგანიზაციათა ისტორიის შესწავლა.

ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციათა ისტორიის შესწავლის საქმეში მასალების და დამხმარე წიგნების მხრივ ჩვენ ჯერ კიდევ მოვიკოჭლებთ. ხოლო იმას, რაც დაწერილია, ბევრი ნაკლი ახლავს. საქართველოს კომპარტიის მე-9 ყრილობამ მოითხოვა, რათა ამ დაწერილში დაშვებული შეცდომები გამოესწორებინათ. მაგრამ ავტორებს ჯერ თავი არ შეუწუხებიათ მათ გამოსწორებაზე. ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა და საქართველოს კ.პ. (ბ) ც. კ-მა ამ საქმეს თვითონ მოჰკიდეს ხელი და, ალბათ, უახლოეს დროში ჩვენი პარტორგანიზაციებისათვის გამოვაქვეყნებთ ზოგიერთ მომენტს ამიერ-კავკასიის და საქართველოს პარტორგანიზაციათა ისტორიიდან.

ყურადღებას უნდა ვაქცევდეთ იმას, თუ როგორ იცნობენ ჩვენი კომუნისტები პარტიის წესდებას. ზოგიერთი კომუნისტი წესდებას ცუდად იცნობს, ხოლო ზოგიერთი სულაც არ იცნობს. ასეთ კომუნისტს შეუძლია იმსჯელოს პარტიულ საკითხებზეც და სხვა საკითხებზეც, მაგრამ როგორ გგონიათ, თუ კომუნისტი პარტიის წესდებას არ იცნობს, განა არ მოიკოჭლებს პარტმუშაობა ასეთ ორგანიზაციაში, იმ ორგანიზაციაში, სადაც პარტიის წევრები პარტიულ წესდებას კარგად არ იცნობენ, პარტიულ მუშაობის მხრივ იქ საქმე ცუდად არის.

აი, მაგალითად, ამიერკავკასიაში ჩვენ გვყავს პარტიის 2 ათასამდე წევრი, რომლებმაც წერაკითხვა არ იციან, აქედან 600 საქართველოშია. ეს სამარცხვინოა ჩვენთვის. ეს ნიშნავს, რომ იმ ორგანიზაციებში, სადაც წერაკითხვის უცოდინარი კომუნისტები არიან, პარტმუშაობა ძალიან სუსტად არის დაყენებული.

პარტიული მუშაობის გაძლიერების მეორე ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ უფრო მეტად გავაძლიეროთ პარტორგანიზაციების და თვითეული კომუნისტის სიფხიზლე. საქართველოს პარტორგანიზაციებში ამხ. კიროვის ავაზაკურ მკვლელობასთან დაკავშირებული გაკვეთილების დამუშავებამ მთელი რიგი მტკივნეული ადგილები გამოაშკარავა ჩვენს პარტორგანიზაციაში. ცალკეული ორგანიზაციების და მათი ხელმძღვანელების სიფხიზლე ჯეროვან სიმაღლეზე არ აღმოჩნდა.

აიღეთ ახალქალაქის ორგანიზაცია. მის ხელმძღვანელობის სათავეში — რაიკომის მდივანიც და ბიუროს ზოგიერთი წევრიც აღმოჩნდენ თვალთმაქცები, რომლებიც ატყუებდენ, პარტიას ცილს სწამებდენ მას, და მხოლოდ ბოლო დროს შევძელით გამოგვეაშკარავებია ამ თვალთმაქცების მავნე მუშაობა, გვემხილებია და გაგვეძევებია ისინი, განგვეახლებია და განგვემტკიცებია ახალქალაქის პარტორგანიზაციის ხელმძღვანელობა.

ხონში სხვაგვარი მდგომარეობა გვქონდა. იქ ორგანიზაციის მდივანი ამხ. ბახტაძე, თვითონ ურიგო მუშაკი არაა, მაგრამ სიფხიზლის მხრივ თავისი დანიშნულების სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდა. მრავალ სახელმძღვანელო პოსტზე რაიონულ ორგანიზაციებში, როგორც საბჭოთა, ისე პარტიულ ორგანიზაციებში შეიპარნენ ყოფილი ტროცკისტები, ხოლო რაიაღმასკომში გაძვრნენ ანტისაბჭოთა ელემენტები, რომლებიც ცოტახნის წინათ დაბრუნდენ გადასახლებიდან. ყოველივე ეს კი მან ვერ შეამჩნია. საქართველოს კ.პ. (ბ) ც. კ-მა შესცვალა ამ რაიონის ხელმძღვანელობაც, განაახლა და განამტკიცა იგი.

ცუდი კი არაა, მე ვიტყოდი კარგი ამხანაგები გვყავს ლანჩხუთის ორგანიზაციაში, მაგრამ მათ გამოეპარათ ერთი პატარა ფაქტი: ვინმე პარმენ ცინცაძემ, რომელსაც ყველა გურული იცნობს, როგორც ყოფილ უკლონისტს, ტროცკისტს, რომელიც რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული თავისი ანტიპარტიული და ანტისაბჭოთა მუშაობისათვის, მოინდომა ხელმძღვანელობაში შეპარვა. ამხანაგებმა განიზრახეს მისი გამოსწორება. კოლმეურნეობებზე მიმაგრებით, მუშაობაში ჩაბმით; იგი კი, სარგებლობდა ამით, საზიზღარ პროვოკაციულ მუშაობას ეწეოდა. საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიუთითა ამაზე ლანჩხუთის ორგანიზაციის ხელმძღვანელებს. მათ გამოასწორეს შეცდომა და საკმაოდ კარგი მუშაობა გააჩაღეს.

აქ პლენუმზე იყო ლაპარაკი ზუგდიდის ორგანიზაციაზე. ზუგდიდის ორგანიზაციამ მხოლოდ ფორმალურად დაამუშავა ამხ. კიროვის მკვლელობასთან დაკავშირებული ამბების გაკვეთილები. ცენტრალურმა კომიტეტმა აიძულა ხელმეორედ ჩაეტარებინათ დამუშავება და დასახმარებლად ორგანიზაციას გაუგზავნა ამხ. გობეჩია, გარსევანოვი და სხვ. რა გამოირკვა ზუგდიდის ორგანიზაციაში. გამოირკვა, რომ საკითხის ფორმალურად დამუშავების გამო ბევრი ფარული ტროცკისტი გამოუაშკარავებელი დარჩენილიყო და მხოლოდ საკითხის ხელმეორედ დამუშავების დროს საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დახმარებით ისინი გამოაშკარავეს, ამხილეს და გააძევეს პარტიიდან.

ზოგიერთი მათგანი ორგანიზაციაში იჯდა და იმალებოდა ჯერ კიდევ ამხ. ქვანიას დროიდან, როცა უკანასკნელი ზუგდიდში მუშაობდა. ტყუილად აუტეხა ამხ. ქვანიამ მწვავე პოლემიკა ამ საკითხზე ამხ. გვასალიას.

ჯანსაღი კრიტიკა ან ფაქტების გამოაშკარავება, არ უნდა წარმოადგენდეს პირად გალაშქრებას ერთიმეორის წინააღმდეგ, არამედ მათ უნდა ჰქონდეს ბოლშევიკური ხასიათი რაიკომშიაც ცენტრალურ კომიტეტშიაც და საერთოდ ყველგან, სადაც უნდა იყოს. (ტაში).

ამხ. კიროვის მკვლელობასთან დაკავშირებული ამბების გაკვეთილების დამუშავებამ ტფილისის ორგანიზაციასაც საშუალება მისცა აღმოეჩინა დიდი და მცირე იარები ტფილისის ორგანიზაციის ცალკე რგოლებისა. ტფილისის კომიტეტმა დიდი მუშაობა ჩაატარა ტფილისის პარტორგანიზაციის სიფხიზლის გასაძლიერებლად.

ამხანაგებო! ბოლშევიკის სიფხიზლე უნდა იყოს შეტევითი სიფხიზლე. არ კმარა მარტო ეს სიფხიზლე, მოსმენა, თვალიერება, ინფორმირება. არა, ჩვენ უნდა გამოვამჟღავნოთ, ვამხილოთ და, თუ საჭირო იქნება, გავაძევოთ და განვდევნოთ ანტიპარტიული და კლასობრივად მტრული ელემენტები. ამაში მდგომარეობს ბოლშევიკური სიფხიზლე. (ტაში).

პარტიული მუშაობის გაძლიერების მესამე ამოცანა ის არის, რომ წესრიგში მოვიყვანოთ ეგრეთწოდებული პარტიული მეურნეობა. თითქოს, ამხანაგებო, ელემენტარულია, მოწესრიგებული გვქონდეს პარტიული საქმეები, მაგრამ ამ ელემენტარულ წესს ჩვენ და ბევრი სხვა ორგანიზაცია უხეიროდ ვასრულებთ და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ამ საკითხზე ჩვენ ამჟამად მკაცრი მითითებები მოგვცა. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებებს ყველა აქ დამსწრე ამხანაგი იცნობს. საჭიროა მივაღწიოთ, იმას, რომ არა ფორმალურად, არამედ არსებითად შესრულდეს ეს მითითებები. **უნდა შემოვიღოთ ისეთი წესი, რომ პარტიულ მეურნეობას განაგებდეს, ამ საქმეზე მუშაობდეს პირადად პარტკომის, რაიკომის და საქალაქო კომიტეტის მდივანი.**

თუ ჩვენ, საქართველოს კომპარტია, ვეწევით ჩაის ყოველი ბუჩქის, ყოველი ხის—ლიმონისა თუ მანდარინის, თამბაქოს და ყოველგვარი სხვა კულტურის აღრიცხვას, მე ვფიქრობ, ამხანაგებო, კიდევ უფრო მეტად შეგვიძლია და ვალდებული ვართ ვეწეოდეთ ცოცხალი ადამიანების აღრიცხვას, კომუნისტების აღრიცხვას. განა აქ ყველაფერი რიგზეა? არა. ბევრი აღიარებს და ამბობს, აღრიცხვა პარტორგანიზაციაში რიგიანად უნდა იყოს დაყენებული, მაგრამ ამის შესრულების საქმე ძალიან ცუდადაა. ორგანიზაციის შემადგენლობის აღრიცხვა მარტო სტატისტიკური საქმე როდია. არა. ეს ნიშნავს ადამიანების უფრო უკეთ გაცნობას. ახლა ყოველმა პარტორგანიზაციამ სერიოზულად უნდა მოჰკიდოს ხელი პარტიული მეურნეობის წესრიგში მოყვანის საკითხებს.

პარტიული მუშაობის გაუმჯობესების შემდგომი ამოცანები ისაა, რომ გავაუმჯობესოთ პარტკრებების, პარტაქტივების და პარტიული მუშაობის სხვადასხვა დარგის დაყენება, გავაუმჯობესოთ იმისთვის და ისე, რომ ავამაღლოთ პარტორგანიზაციის ცხოვრების იდეურ - პოლიტიკური დონე, გავაძლიეროთ პარტიის წევრების სიფხიზლე. მხოლოდ და მხოლოდ ამ თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ ამ საკითხებს. სრულებით სწორი როდია, ზოგიერთი ამხანაგი ლაპარაკს რომ იწყებს პარტმუშაობის ამ საკითხების ფორმალურ მხარეზე: პარტკრებისა და კომიტეტის პლენუმისთვის ერთ თვეს, ორ კვირას თუ ორ დღეს, უნდა ვემზადოთო. საქმე ვადა როდია. ვერც ერთი, ვერც მეორე მტკიცება ვერას გვეტყვის, თუ როგორი უნდა მზადება. შეიძლება ორი კვირას ემზადებოდე, მაგრამ უხეიროდ მოემზადო და შენი მუშაობა არ იქნება საჩვენებელი. საქმე ის კი არაა, რამდენ დღეს ემზადებოდი, არამედ ის, თუ როგორ ემზადებოდი, რამდენად გაიზრდება და განმტკიცდება ჩატარებული პარტიული მუშაობისაგან პარტიის წევრთა იდეურ-პოლიტიკური დონე და სიფხიზლე. მხოლოდ ამ საზომით უნდა მივუდგეთ პარტმუშაობის ცალკე საკითხების დაყენებას და ორგანიზაციას.

ამხანაგებო! კომპარტიის სხვა ორგანიზაციებთან შედარებით და იმასთან შედარებით, რაც იყო რამდენიმე წლის წინათ, ტფილისის ორგანიზაცია კარგად გამოიყურება, მტკიცედ გამოიყურება. ტფილისის ორგანიზაციამ დაიკაპიწა ხელები, დაძაბულად მუშაობს და გვიჩვენებს პარტიული და სამეურნეო მუშაობის დაყენების კარგ მაგალითებს. მაგრამ საშიში იქნებოდა გვეთქვა, ტფილისში თითქოს უკვე ყველაფერი რიგზე იყოს, ყველაფერი კარგად იყოს და ჩვენ ყველაფრისთვის მიგვეღწიოს. არა. ჩვენ მტკიცედ უნდა განვაცხადოთ, რომ ტფილისშიაც კოლოსალური მუშაობა მოგველის. ტფილისში წინათ იყო ნაციონალ-უკლონისტთა, ტროცკისტთა და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტების ძლიერი ჯგუფები. ბევრ მათგანს ამჟამადაც არ აუღია ხელი ანტიპარტიულ და ანტისაბჭოთა მუშაობაზე. ბევრი მათგანი ვამხილეთ და გავდევნეთ, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი დარჩა. ტფილისში თავმოყრილია უმაღლესი სასწავლებლები, ინტელიგენცია და ეს პარტორგანიზაციისაგან მოითხოვს დიდ იდეურ-პოლიტიკურ მუშაობას მათ შორის. ტფილისს ჯერ კიდევ ბევრი რამის გაკეთება სჭირია. ბევრი მუშაობაა საჭირო კადრების, პარტიის და კომკავშირის წევრთა იდეურ - პოლიტიკურ აღზრდისთვის. რაც დღემდე გაკეთდა—ეს კარგია, მაგრამ არ კმარა, საჭიროა კიდევ უფრო მეტი გაკეთდეს.

ორიოდე სიტყვა კომკავშირზე. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება კომკავშირის ხელმძღვანელ ორგანოების გარდაქმნისა და მათი კადრების განმტკიცების შესახებ. ამის საფუძველზე, სამხარეო კომიტეტმა და საქართველოს ცენტრალურმა კომიტეტმა ჩაატარეს აგრეთვე მთელი რიგი ღონისძიებები. ამიერ-კავკასიაში კომკავშირში სამუშაოდ ჩვენ გადავიყვანეთ 33 კარგი პარტიული მუშაკი. მაგრამ, ამხანაგებო, საჭიროა რაიონულმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უფრო მეტად იზრუნონ კომკავშირისათვის. ამიერ - კავკასიის კომკავშირის 200-ათასიანი არმია მოითხოვს პარტიული ორგანიზაციებისაგან ძალიან დიდ ზრუნვას ყურადღებას და დიდ მუშაობას. **პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა შეიგნონ კომკავშირის მზარდი პოლიტიკური მნიშვნელობა: ისინი ვალდებული არიან გააძლიერონ ხელმძღვანელობა კომკავშირის ორგანიზაციების მუშაობაზე, დაეხმარონ კომკავშირს კადრებით და გააუმჯობესონ კომკავშირელებთან აღმზრდელობითი მუშაობა.**

* *

გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც განვიხილეთ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმზე, მე მინდა შევჩერდე კიდევ ორ საკითხზე.

პირველი—ეს არის ნათესების დამუშავების და მოსავლის აღების კამპანიის საკითხი. ისეთ კულტურებს, როგორიცაა: თამბაქო, ბამბა, ჭარხალი, სიმინდი, ამჟამად ესაჭიროება დიდი ყურადღება დამუშავების მხრივ, რაც შეეხება მარცვლეულ კულტურებს, უკვე დროა ვემზადოთ მათი აღებისათვის. ჩვენში ზოგიერთი ლაყბობს, ტექნიკური კულტურების განვითარებასთან დაკავშირებით ჩვენ ვითომ აღარ მივსდევდეთ მარცვლეულ, სასურსათო კულტურების განვითარებას. ამ ადამიანების ტრაგედია ისაა, რომ მათ არ ესმით საქმის შინაარსი. არ ესმით, რომ სასურსათო მარცვლეული კულტურები ჩვენში წინანდელ წლებთან შედარებით ვითარდება. **რაიონულმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, ახლა, როგორც საჭიროა, ისე უნდა მოჰკიდონ ხელი ნათესების დამუშავებისა და მოსავლის აღების საკითხებს.**

მეორე საკითხია — სტალინური საკოლმეურნეო წესდების გატარება. მას შემდეგ, რაც მიღებული იქნა სანიმუშო წესდება, საქართველოს ცენტრალურმა კომიტეტმა და სახკომსაბჭომ დიდი მუშაობა გასწია. ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და ცენტრალური კომიტეტის წევრები მრავალრიცხოვანი ჯგუფების სახით ორჯერ გაიგზავნენ რაიონებში და რაიონულ ორგანიზაციებთან ერთად ისინი სწავლობდენ პირობებს წესდების გამოსაყენებლად. რამდენიმეჯერ ცენტრალურ კომიტეტსა და საქ. კ. პ. (ბ) ამიერ - კავკასიის სამხარეო კომიტეტში ჩვენ ვმჯდარვართ ამ ამხანაგებთან ერთად, რომლებიც იყვნენ რაიონებში და შეგვიტანია წესდებაში ესა თუ ის კორექტივები. ჩვენს მიერ წესდების პირობებისა და დამუშავების ასეთი გულმოდგინედ შესწავლის შედეგად, როგორც თქვენ იცით, ჩვენი ღონისძიებები წესდების ჩასატარებლად უკვე დამტკიცებულია საბჭოთა კავშირის მიწსახკომისა და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების მიერ.

ახლა საჭიროა მარჯვედ გამოვიყენოთ წესდება დამუშავებულ ღონისძიებებთან შეფარდებით. მუშაობა უნდა ჩავატაროთ საქმიანად, აუჩქარებლად, რათა დაშვებული არ იქნეს გამრუდება და დამახინჯება.

ყველა ის დიდი შეღავათი, რომელსაც იძლევა წესდება საკარმიდამო მიწების, პირუტყვის და სახლომი ცხენების ხაზით, აგრეთვე ის ღონისძიებები, რომელთაც ითვალისწინებს წესდება საკოლმეურნეო მეურნეობის განსამტკიცებლად, — უეჭველად ეს უზრუნველყოფს კოლმეურნეთათვის სწორ გზას შეძლებული ცხოვრებისაკენ. ეს ახლა ესმის კოლმეურნესაც და ერთპიროვნულ მეურნესაც, და ახალი წესდების დამუშავებასთან დაკავშირებით, ბევრი ერთპიროვნული მეურნე შევიდა კოლმეურნეობაში. **1935 წლის პირველი კვარტალის მანძილზე საქართველოში კოლმეურნეობაში შევიდა 30 ათასი მეურნეობა, ხოლო კოლექტივიზაციის დონე ავიდა 43 პროცენტამდე. უეჭველად ეს მოითხოვს ჩვენგან უფრო კარგად მოვაწესრიგოთ მუშაობა კოლმეურნეობათა განსამტკიცებლად ახალი სტალინური წესდების საფუძველზე.**

ამხანაგებო, ყველა ამ ამოცანის შესრულებისას, ჩვენ უნდა მივაღწიოთ კიდევ უფრო შემჭიდროებულ, ორგანიზებულ, ბოლშევიკურ მუშაობას და საქართველოს კომპარტიის კიდევ უფრო შემჭიდროებას საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საყვარელი ბელადის დიდი სტალინის ირგვლივ, რადგან ჩვენ წარმოვადგენთ მის ერთგულ, უნარიან, მომქმედ და მოწინავე რაზმს. ამას ჩვენ გვავალებს საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, ამას გვავალებს ის ყურადღება, რომელსაც იჩენს ამხ. სტალინი ამიერ-კავკასიის და კერძოდ, საქართველოს ორგანიზაციის მიმართ (ტაში).

მივიღეთ რა საკავშირო ცაკის გადაწყვეტილება საბჭოთა საქართველოსა და საბჭოთა აფხაზეთის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ, ჩვენ ამხ. სტალინს გავუგზავნეთ შემდეგი დეპეშა:

„საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს — ამხ. სტალინს.

ძვირფასო კობა!

საბჭოთა კავშირის ცაკის გადაწყვეტილებით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკა დაჯილდოებული არიან ლენინის ორდენით.

ეს უმაღლესი შეფასება ავალებს საქართველოსა და აფხაზეთის ბოლშევიკებს და მშრომელებს კიდევ უფრო მეტად გააძლიერონ თავიანთი ენერგია ბრძოლაში სოციალიზმისათვის, ლენინ-სტალინის საქმისათვის.

ჩვენი გამარჯვებები შედეგია საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობის და შენი პირადი მითითებების, ყურადღებისა და ზრუნვისა, ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და სახკომსაბჭო, აფხაზეთის პარტიის საოლქო კომიტეტი და ცაკი პირობას სდებენ საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს და შენს წინაშე, რომ ისინი გამოიყენებენ ყველა თავის ძალას, გააკეთებენ ყველაფერს იმისათვის, რათა მიაღწიონ ახალ წარმატებებს სოციალიზმისათვის ბრძოლაში და გაამართლონ საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა ხელისუფლების უზენაეს ორგანოს სსრკ-ის ცაკის, პარტიისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა მასების ბელადის, დიდი სტალინის ნდობა“.

მე ვფიქრობ, რომ ამ დეპეშაში ჩვენ გამოვხატეთ საქართველოს კომპარტიის და მისი უზენაესი ორგანოს—პარტიის ცენტრალური კომიტეტის აზრი, სურვილი და ნებისყოფა და **პარტიის ბელადის დიდი სტალინის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს ჩვენ ძლევამოსილად შევასრულებთ (მქუხარე ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

სამგლოვიარო ცერემონია თურქეთის რესპუბლიკის ელჩის ბ-ნ ვასიფ ჩინარის ხსოვნის აღსანიშნავად

მოსკოვი, 3 ივნისი. თურქეთის საელჩოში მოსკოვს, 3 ივნისს, გაიმართა სამგლოვიარო პროცესია, მიძღვნილი თურქეთის რესპუბლიკის უდროოდ გარდაცვალებული ელჩის ბ-ნ ვასიფ ჩინარის ხსოვნისადმი.

კუბო განსვენებულის ცხედრით ასვენია საელჩოს დარბაზში. დიდი პოსტამენტის ირგვლივ არის ცოცხალი ყვავილებისაგან გაკეთებული მრავალი გვირგვინი. აქაა გვირგვინები ამხ. მ. ი. კალინინისა, ვ. მ. მოლოტოვისა, კ. ე. ვოროშილოვისა, სერგო ორჯონიკიძისა, მ. ი. ლიტვინოვისა, ა. ს. ბუბნოვისა და მ. ლ. კაგანოვიჩისაგან, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან, თურქეთის რესპუბლიკის საელჩოსაგან, იტალიის, საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიის, ავღანისტანის, ირანის საელჩოებისაგან, ავსტრიის, დანიის, ნორვეგიის მისიებისაგან და სხვ.

სამგლოვიარო პროცესიას ესწრებიან: სსრ კ-ის ცაკის თავმჯდომარის ამხ. მ. ი. კალინინის წარმომადგენელი ამხ. მიაგკი, ამხ. კ. ე. ვოროშილოვი, მ. ი. ლიტვინოვი, ა. პ. როზენგოლცი, ნ. ნ. კრესტინსკი, ბ. ს. სტომონიაკოვი, ი. ს. უნშლიხტი, ეგოროვი, ბუდიონი, ორლოვი, ელიავა.

მთელი შემადგენლობით ეწყობა დიპლომატიური კორპუსი—უხუცესის იტალიის ელჩ ბ-ნ ატოლიკოს მეთაურობით. ესწრებიან აგრეთვე უცხო სახელმწიფოთა სამხედრო ატაშეები, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი მუშაკები, ტრესტ თურქმშენის ხელმძღვანელები, სახალხო კომისარიატების, საბჭოთა საზოგადოებრიობის, ხელოვნების წარმომადგენლები, საბჭოთა და უცხოეთის კორესპონდენტები და სხვ.

წამდაუწუმ შემოაქვთ ახალი გვირგვინები: ამერიკის შეერთებული შტატების ელჩ ვ. ბულიტისაგან, ჩინეთის რესპუბლიკის ელჩ დოქტორ ვ. ვ. იენისაგან, პოლონეთის ელჩ ბ-ნ ლუკასევიჩისაგან, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარ ამხ. როზენგოლცისაგან, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების თავმჯდომარე ამხ. აროსევისაგან და სხვ. სევდიანად ჟღერს მუსიკა, სამგლოვიარო მელოდიებს ასრულებს სსრკ-ის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის ორკესტრი რესპუბლიკის სახალხო არტისტის შტეინბერგის ხელმძღვანელობით.

სამგლოვიარო ცერემონია ერთ საათს გრძელდება. დამსწრენი ეთხოვებიან თურქეთის რესპუბლიკის განსვენებულ ელჩს ბ-ნ ვასიფ ჩინარს და ნელნელა სტოვებენ დარბაზს.

*

4 ივნისს, 18 საათზე, ბ-ნ ვასიფ ჩინარის ცხედარს გამოასვენებენ თურქეთის საელჩოს შენობიდან.

სამგლოვიარო პროცესია გაემართება კურსკის ვაგზალზე, ხოლო იქიდან 20 საათსა და 15 წუთზე სამგლოვიარო ვაგონი გავა სევასტოპოლისაკენ.

სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებით, თურქეთის რესპუბლიკის განსვენებულ ელჩის ბ-ნ ვასიფ ჩინარის ცხედარი 6 ივნისს სევასტოპოლიდან გაიგზავნება სამხედრო გემით და პატივსცემენ სამხედრო წესთა მიხედვით.

ბ-ნ ვასიფ ჩინარის ცხედარს თურქეთში მიაცილებს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის აღმოსავლეთის პირველი განყოფილების გამგის თანაშემწე ამხ. ა. ფ. მილერი.

საკრედიტო შეთანხმების ხელმოწერა საბჭოთა კავშირსა და ჩეხო-სლოვაკიის რესპუბლიკას შორის

პრაგა, 3 ივნისი. დღეს, საღამოს 7 საათზე, ფინანსთა სამინისტროში საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელმა ჩეხოსლოვაკიაში ამხ. ფ. ფ. კილევიცმა და ჟივნოსტენსკას ბანკის გენერალურმა დირექტორმა ბ-ნმა პრეისმა, როგორც ჩეხოსლოვაკიის ბანკების კონსორციუმის წარმომადგენელმა, ხელი მოაწერეს შეთანხმებას საბჭოთა კავშირისათვის 6-პროცენტიანი საობლიგაციო კრედიტის მიცემის შესახებ, 5 წლის ვადით და 250 მილიონი ჩეხოკრონის რაოდენობით.

ხელმოწერას დაესწრნენ ერთის მხრით—ფინანსთა მინისტრი ტრაპლია, საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველი სმეტანა, შკოდის ქარხნების გენერალური დირექტორი ლევენშტეინი და მეორე მხრით—სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ამხ. ალექსანდროვსკი, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სავალუტო - საფინანსო სექტორის უფროსი ამხ. სტეფანოვი და სავაჭრო წარმომადგენლის მოადგილე ბული.

შეთანხმების ხელმოწერის დროს ფინანსთა მინისტრმა ტრაპლიამ და სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ამხ. ალექსანდროვსკიმ ერთმანეთს მიმართეს მეგობრული სიტყვებით, რომლებშიაც ხაზგასმით აღნიშნეს საკრედიტო შეთანხმების დიდი მნიშვნელობა საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის სამეურნეო კავშირის განმტკიცების საქმეში. შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ გამოიცა კომუნიკე (ადს).


ლენინგრადის სამხედრო ოლქის მექანიკოს წამყვანს ამხ. ხ. გოვოროვს ტანკი გადაჰყავს მდინარეზე ხიმინჯების საშუალებით.

ინგლის-გერმანიის საზღვაო მოლაპარაკება

ლონდონი, 4 ივნისი. დღეს საგარეო საქმეთა სამინისტროში საიმონმა ოფიციალურად გახსნა ინგლის-გერმანიის საზღვაო მოლაპარაკება.

მოლაპარაკების გახსნის შემდეგ საიმონმა სხდომა დასტოვა. მოლაპარაკებას აწარმოებენ ინგლისის მხრით: კრეიგი, ვიცე-ადმირალი ლიტლი და კაპიტანი დეკნვერტსი. გერმანიის მხრით: რიბენტროპი, ადმირალი შუსტერი, კაპიტნები—კიდერლენი და ვასნერი.

არსებული ცნობებით, რიბენტროპმა განმარტა გერმანიის მოთხოვნა, რომ გერმანიის საზღვაო შეიარაღების ქვოტა დაწესდეს ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ტონაჟის 35 პროცენტის ოდენობით. ბრიტანეთის ექსპერტებმა მისცეს მთელი რიგი შეკითხვები გერმანიის სამხედრო-საზღვაო მშენებლობის პროგრამის, შეიარაღების, პერსონალის და სხვ. შესახებ (ადს).

—o—

გემი „ნორმანდია“ მივიდა ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 3 ივნისი. დღეს დილით ნიუ-იორკში მოვიდა საფრანგეთის მსოფლიოში უდიდესი სამგზავრო საოკეანო გემი „ნორმანდია“, რომელიც ამ დღეებში ჩაუშვეს წყალზე ჰავრში. გემმა დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი, გაიარა რა საუტჰემპტონიდან (ინგლისი) ნიუ-იორკამდე მთელი მანძილი — 3.190 მილი (მილი—1,6 კილომეტრია), 107 საათსა და 33 წუთში. „ნორმანდიის“ საშუალო სისწრაფე უდრის 29,68 მილს.

გერმანიის გემის „ბრემენის“ მიერ დამყარებული რეკორდი იყო 110 საათი და 27 წუთი (ადს).

ამხ. ი. ვ. მიჩურინის ჯანმრთელობის გაუარესება

მოსკოვი, 4 ივნისი. ა.-წ. აპრილიდან მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწის ი. ვ. მიჩურინის ჯანმრთელობა საგრძნობლად გაუარესდა, ავადმყოფს გაუმწვავდა კუჭის ტკივილი, დაეწყებინა სისხლის ღებინება, მადა დაეკარგა, უმატა საერთო სისუსტემ.

აპრილის დამლევს ავადმყოფთან მიჩურინსკში გაიმართა პროფესორ ბრუსკინის, ლეპორსკის და როსიისკის, დოცენტ კოგანის და სხვათა კონსილიუმი. კონსილიუმმა აღნიშნა არსებობა კუჭის სიმსივნისა; როგორც ჩანს, იგი ავთვისებიანია. ადგილობრივ, ჯანსახკომის და კრემლის სანიტარულ სამმართველოს უშუალო მეთვალყურეობით, მიღებულია სამედიცინო დახმარების ყველა შესაძლებელი ზომა. ავადმყოფთან აპრილიდან მუდმივად მორიგეობს ორი ექიმი, გაიმართა მთელი რიგი განმეორებითი კონსილიუმები გამოჩენილ სპეციალისტებთან.

უკანასკნელ დღეებში ავადმყოფის მდგომარეობა თვალსაჩინოდ გაუარესდა.

მიჩურინსკში მოსკოვიდან კვლავ გაიგზავნენ სპეციალისტები.

ტფილისის ორგანიზაციის პარტაქტივის კრებები

ტფილისის ბოლშევიკები ერთსულოვნად და სავსებით იწონებენ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებებს

სტალინის რაიონი

ეს არ იყო ჩვეულებრივი კრება. დიდი ხანია ასეთი კრება არ ყოფილა ტფილისის ორგანიზაციაში. საზაფხულო კინოთეატრ „დამკვრელში“ თავი მოიყარა საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის სტალინის რაიონის პარტორგანიზაციის 2 ათასზე მეტ წევრს და კანდიდატს.

კრება დანიშნულ დროს 6 საათზე დაიწყო. დღის წესრიგში ედგა ერთი საკითხი საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმის შედეგები.

კრება მქუხარე ტაშით ირჩევს საპატიო პრეზიდიუმში საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის პოლიტბიუროს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ამხ. სტალინის მეთაურობით და ამხ. ბერიას, ტელმანს და დიმიტროვს. საქმიან პრეზიდიუმში კი: ამხ. გ. არუთინოვს, მ. გობეჩიას, ს. არუთინოვს, კარნიცკის და სხვებს. შემდეგ პლენუმის შედეგებზე ვრცელი და შინაარსიანი მოხსენებით გამოდის საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მდივანი ამხ. სერგო არუთინოვი.

მან აღნიშნა პლენუმის გადაწყვეტილებათა უდიდესი მნიშვნელობა და ის წარმატებანი, რომლებსაც საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა მიაღწიეს ამხ. ლ. ბერიას კონკრეტული ხელმძღვანელობით, ესაა წინათ დაშვებული დიდი პოლიტიკური და სამეურნეო შეცდომების გამოსწორება, სოფლის მეურნეობის აღმავლობა და განვითარება, განსაკუთრებით კი ჩაის მეურნეობის დარგში. ამხ. არუთინოვმა ილაპარაკა პლენუმის დღის წესრიგში დასმულ ყველა საკითხის შესახებ. იგი განსაკუთრებით შეჩერდა სტალინის რაიონში პარტიული მუშაობის გარდაქმნისათვის ჩატარებულ მუშაობაზე და პარტიული კრების ყურადღება მიაქცია რაიონის პარტორგანიზაციების მუშაობის იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც აღნიშნა ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა. ამხ. არუთინოვმა რაიონის პარტორგანიზაციას დაუსახა პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე კონკრეტული ღონისძიებანი პარტიული მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის.

ამხ. არუთინოვის მოხსენების შემდეგ გაიმართა ცხოველი კამათი. მასში მონაწილეობა მიიღო 20-ზე მეტმა ამხანაგმა.

განსაკუთრებული და საქმიანობით, მრავალრიცხოვანი გამოსვლებით, კამათის მაღალი იდეური დონით ხასიათდებოდა კრება. ამხანაგები უაღრესი საქმიანობით ლაპარაკობდნენ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმის გადაწყვეტილებათა უდიდეს მნიშვნელობაზე და ცხოვრებაში ამ გადაწყვეტილების გატარების კონკრეტულ საკითხებზე.

კრებამ, რომელიც 4 ნახევარ საათს გაგრძელდა, მიღებულ რეზოლუციაში ერთსულოვნად და სავსებით მოიწონა ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი.

კრებამ მქუხარე ტაშით მიიღო მისასალმებელი დეპეშა ტფილისის, ამიერ - კავკასიის პარტორგანიზაციების სახელოვან ორდენოსან ხელმძღვანელს ამხ. ლ. ბერიასადმი გასაგზავნად.

რეზოლუციაში კრებამ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა ბოლშევიკურად რეალიზაციის უზრუნველყოფისათვის.

ლენინის რაიონი

გუშინ შეიკრიბა ლენინის რაიონის პარტაქტივი, რომელმაც მოისმინა რაიკომის მდივნის ამხ. გ. თვალჭრელიძის მოხსენება. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მესამე პლენუმის შედეგებზე. მოხსენების პირველ ნაწილში ამხ. თვალჭრელიძე ვრცლად შეჩერდა პლენუმის დღის წესრიგში დასმულ საკითხებზე და შეეხო იმ მიღწევებს, რომლებიც საქართველოს პარტორგანიზაციამ ამხ. ლ. ბერიას ხელმძღვანელობით მოიპოვა ჩაის კულტურის განვითარების დარგში და პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობის გარდაქმნის საქმეში; მოხსენების მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო კოოპერატიული ვაჭრობის მდგომარეობასა და ამოცანებს.

მომხსენებელმა ილაპარაკა იმ ამოცანებზე, რომლებიც დგას ლენინის რაიონის პარტორგანიზაციის წინაშე პლენუმის გადაწყვეტილებებთან და ამხ. ლ. ბერიას გამოსვლასთან დაკავშირებით. ამხ. თვალჭრელიძემ უამრავ ფაქტიური მასალით დაასურათა პარტიული განათლების, თანამგრძნობებთან მუშაობის, კომკავშირზე ხელმძღვანელობის, კადრების აღზრდისა და დაწინაურების, ეგრედწოდებულ პარტიული მეურნეობის და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის საკითხები.

მოხსენების ირგვლივ გაცხოველებული კამათი გაიმართა. ილაპარაკეს ამხანაგებმა: ჯინორიამ (26 კომ. სახელობის ქარხანა), მეშველიამ (კიროვის სახ. ქარხანა), თევდორაძემ (ა.-კ. ინდუსტრიალური ინსტიტუტი), ვასილევმა, გამრეკელმა, ხაზარსკიმ, ბაიანდუროვმა, ფოფხაძემ (კომკავშირის ლენრაიონის მდივანი), საკოვმა, მაისურაძემ და როსნაძემ.

კამათში გამოსული ამხანაგები ლაპარაკობდნენ თავიანთი მუშაობის გამოცდილებაზე და იმ ნაკლოვანებებზე, რომლებსაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში. თვითეული მათგანი იძლეოდა ძვირფას წინადადებებს და სახავდა საყურადღებო ღონისძიებებს მუშაობის შემდგომი გარდაქმნისათვის.

კამათში სულ ჩაწერილია 59 კაცი. კრება გაგრძელდება დღეს საღამოს 6 საათიდან.

ბამბის პირველი თოხნა დავამთავრეთ

სარვანი, 4 ივნისი. ბორჩალოს რაიონმა 1-ლ ივნისისათვის ბამბის პირველი თოხნა მთლიანად დაამთავრა. შეუდექით ბამბის მეორე თოხნას. 3 ივნისისათვის გათოხნილი იყო 600 ჰექტარი.

საქ. კ. პ. (ბ) ბორჩალოს რაიკომის მდივანი—**ცეხაძე.**

სტალინის რაიონის პარტკრების მისალმება ამხ. ლ. ბერიას

ამხ. ლავრენტი!

საქართველოს კ. პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის სტალინის რაიონის საერთო რაიონული პარტიული კრება, განიხილა რა მან საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ს მესამე პლენუმის გადაწყვეტილება, მხურვალე სალამს გითვლის შენ, ამიერ-კავკასიის და საქართველოს ბოლშევიკთა ორდენოსან ხელმძღვანელს.

შენი უშუალო ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის მითითებათა განუხრელად განხორციელების საფუძველზე, საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ და ყველა მშრომელმა უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე, რისთვისაც პარტიისა და მთავრობისაგან მიიღეს უმაღლესი ჯილდო ლენინის ორდენი.

შენი უშუალო ხელმძღვანელობით ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციები გარდაიქცნენ დიადი ლენინური პარტიის სტალინური ცენტრალური კომიტეტის ურყევ სიმაგრედ.

განუხრელად ვახორციელებთ რა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დირექტივებს და საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის მესამე პლენუმის გადაწყვეტილებებს, სტალინის რაიონული პარტიული ორგანიზაციის ბოლშევიკები სიტყვას გაძლევთ შენ, ძვირფასო ამხანაგო ლავრენტი, რომ ჩვენ მოვიკრებთ მთელ ჩვენს ძალღონეს და ვიქნებით საქართველოს კომპარტიის მოწინავე რიგებში, შეუპოვრად ვიბრძოლებთ პარტორგანიზაციის წევრთა იდეურ - პოლიტიკური დონის აყვანისათვის კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე, ახალი კადრების გამოზრდისათვის, „პარტიული მეურნეობის“ წესრიგში მოყვანისათვის უმოკლეს ვადაში და კიდევ უფრო გავამახვილებთ მთელი პარტორგანიზაციის რევოლუციურ - ბოლშევიკურ სიფხიზლეს.

გარწმუნებთ, ამხანაგო ლავრენტი, რომ მთელი პარტიულ-მასობრივი მუშაობის გარდაქმნის გზით, შენი ხელმძღვანელობით განვახორციელებთ დიდი სტალინის მითითებებს პოლიტიკური ხელმძღვანელობის დონემდე ჩვენი ორგანიზაციული მუშაობის დონის ამაღლების შესახებ.

გაუმარჯოს ხალხთა დიად ბელადს ამხ. სტალინს!
გაუმარჯოს დიდი სტალინის ერთგულ მოწაფეს ამხ. ლავრენტი ბერიას!

ორჯონიკიძის რაიონი

რუსთაველის საკონცერტო დარბაზში ხმაურობა ზარის წკრიალმა დაარღვია.

ყველა სმენად გადაიქცა. აქ დღეს ორჯონიკიძის რაიონის პარტაქტივია შეკრებილი.

7 საათს ხუთმეტი წუთი უკლდა, სხდომა რომ გაიხსნა. მოხსენებით საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მესამე პლენუმის შედეგებზე გამოვიდა პარტრაიკომის მდივანი ამხ. შ. ჩიხლაძე.

მომხსენებელი დაწვრილებით შეჩერდა ჩაის ფრონტზე მიღწეულ წარმატებებზე, კერძოთ იმ ღონისძიებებზე, რომელიც დასახა პლენუმმა საქართველოში ჩაის კულტურის შემდგომი განვითარებისათვის.

ილაპარაკა მიღწევებზე, ილაპარაკა ნაკლზეც.

ამხ. ჩიხლაძე მოხსენების დასასრულს ფართოთ შეეხო პარტიულ მუშაობის საკითხებს. მოხსენებაც და კამათიც ბოლშევიკური თვითკრიტიკის ნიშნის ქვეშ ჩატარდა.

აღმაშფოთებელი მდგომარეობა გამომჟღავნდა პარტიულ მეურნეობის დარგში, მთელ რიგ ძირეულ პარტორგანიზაციებში პარტაღრიცხვა აშკარა ქაოტურ მდგომარეობაში ყოფილა. მომხსენებელმა მოიყვანა ბევრი დამახასიათებელი ფაქტები. მაგალითად პარტიის წევრი ხახანაშვილის პარტიული დოკუმენტების განხილვის დროს აღმოაჩინდა, რომ ზოგან ხახანაშვილია აღნიშნული, ზოგან ხანანაშვილი.

კამათში, რომელშიც 19 ამხანაგმა მიიღო მონაწილეობა, გამოირკვა, რომ რაიონის პოლიტსწავლება ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი საკმაო ლიტერატურით, კერძოთ ნაცუმცირესობათა სკოლები. ჯერ კიდევ არაა საკმაო კომკავშირზე პარტიული ხელმძღვანელობა.

დასასრულს აქტივის სხდომამ ერთსულოვნად მოიწონა მესამე პლენუმის გადაწყვეტილებანი და მის ცხოვრებაში ურყევად გატარებისათვის დასახა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი.

⁂

პარტაქტივის კრებები შესდგა აგრეთვე კიროვის და 26-ის რაიონებში. მიღებულ რეზოლუციებში რაიონულმა აქტივმა ერთხმად მოიწონეს პლენუმის გადაწყვეტილებები და დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი მათ გატარებისათვის.

რკინისგზებზე გაემგზავრნენ გზათა სახალხო კომისარიატის პირველი რევიზორ-დისპეტჩერები

მოსკოვი, 3 ივნისი. 3 ივნისს რკინისგზებზე გაემგზავრნენ გზათა სახალხო კომისარიატის პირველი რევიზორ - დისპეტჩერები, რომელნიც გამოჰყო გზათა სახალხო კომისარმა ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩმა. გადამწყვეტ მიმართულებებზე სატვირთო მატარებლების სწრაფად წინწაწევის—კონტროლისა და ორგანიზაციის მიზნით (დონბასი—მოსკოვი, ლენინგრადი-ურალი, კუზბას - ურალი, მოსკოვ-ყაზან-სვერდლოვსკი, მოსკოვ-ჩელიაბინსკი და სხვ.) რევიზორ-დისპეტჩერები უმთავრესად იმუშავებენ ამხ. კუტაფინის მეთაურობით (გაჰყვებიან უშუალოდ მატარებლებს).

⁂

გამგზავრების წინ რევიზორ-დისპეტჩერები მიიღო გზათა სახალხო კომისარმა ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩმა. სახალხო კომისარმა მათ მისცა ფრიად მნიშვნელოვანი პრაქტიკული მითითებანი მუშაობის ორგანიზაციის დარგში (ადს).

სწავლის ფრიადოსნები — საუკეთესო დამკვრელები (ტფილისის მე-19 არასრული საშუალო სკოლა): პიონერები კლიმანტოვა, მურადოვა და გრიგორიანი.

პროფ. ივ. ბერიტაშვილი

ორგკომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი

ფიზიოლოგთა მე-15 საერთაშორისო კონგრესისათვის

ფიზიოლოგთა მე-15 საერთაშორისო კონგრესი შესდგება ლენინგრადსა და მოსკოვში ამ წლის 9-17 აგვისტოს. მოსამზადებელი მუშაობა უკვე ამ ორი წლის წინათ დაიწყო. ამ მუშაობას ხელმძღვანელობს ექვსი საბჭოთა ფიზიოლოგისგან შემდგარი კონგრესის ორგკომიტეტი აკად. ივ. პავლოვის თავმჯდომარეობით და მთავრობის დამხმარე კომისია ამხ. მეჟლაუკის თავმჯდომარეობით. მეტად დიდი და რთული მუშაობა უნდა ჩატარდეს, რომ კონგრესში მონაწილეობა მიიღონ მთელი ქვეყნის ცნობილ ფიზიოლოგებმა, ბიოქიმიკოსებმა და ფარმაკოლოგებმა. ეს მუშაობა დაუბრკოლებლივ მიმდინარეობს შესაფერ პირობებში.

ამ მიზნის მისაღწევად პირველად ყოვლისა საჭირო იყო ისეთი ფართო ინფორმაცია, რომ თითქმის ყველა ფიზიოლოგს, ფარმაკოლოგს და ბიოქიმიკოსს ჰქონოდა ხელში თავის დროზე ჩვენი მოწვევის ბარათი, საიდანაც მას უნდა გაეგო როგორც კონგრესის დრო, ისე საბჭოთა კავშირში ყოფნის და მოგზაურობის მატერიალური პირობები. მატერიალური პირობების ზუსტად გამორკვევა ორგკომიტეტმა მიანდო „ინტურისტს“ ორგანიზაციას და მასვე დააკისრა მთელი ამ რთული საქმის მოგვარება და გადწყვეტა. „ინტურისტი“ ღებულობს თავის თავზე ყველა უცხოელი დელეგატის უზრუნველყოფას კვებით, ბინით და მოგზაურობით. მთავრობის დადგენილებით უცხოელი სტუმრები იხდიან მხოლოდ ნამდვილი ხარჯების ნახევარს, დანარჩენს იხდის საკავშირო მთავრობა. ეს დიდი შეღავათი, რასაკვირველია, უცხოელ ფიზიოლოგებს უქმნის საუკეთესო პირობებს კონგრესზე დასწრებისათვის.

ამას გარდა, მთავრობის დადგენილებით უცხოეთის 50-მდე დამსახურებული მეცნიერი მოწვეულია, როგორც მთავრობის სტუმარი, ე. ი. განთავისუფლებულია ყველა ხარჯისაგან საბჭოთა ტერიტორიაზე.

მთავრობის ასეთი არაჩვეულებრივი ზრუნვის წყალობით ჩვენ გვესტუმრება საზღვარგარეთის თითქმის ყველა გამოჩენილი ფიზიოლოგი. საკუთარი ხარჯით. ჩამოსვლის სურვილი, უკვე გამოთქვა 770 პირმა, განცხადება ახლაც ყოველდღე მოდის. ასე, რომ უცხოეთის დელეგატთა რიცხვი შეიძლება 1000-მდე ავიდეს. მათ შორის ბევრი მოდის ცოლით ან შვილით. მარტო შეერთებულ შტატებიდან 200-ზე მეტი დელეგატი - მეცნიერი ჩამოვა. გერმანიიდან მოდის 80 მეცნიერი, საფრანგეთიდან 70, ინგლისიდან —80-მდე. არც ერთი პატარა სახელმწიფო არ მოიპოვება, რომ იქიდან არ მოდიოდეს რამდენიმე მეცნიერი.

კონგრესს დაესწრება საბჭოთა კავშირიდან 450-მდე დელეგატი. მათ შორის უმრავლესობა ახალგაზრდა მეცნიერები. მათ შენახვას კონგრესის დღეებში მთავრობა ღებულობს თავის თავზე. ასამდე ჩვენი მეცნიერი იქნება ჩაყენებული სრულიად ისეთსავე პირობებში, როგორც უცხო დელეგატები. ისინი იქნებიან მთლიანად „ინტურისტის“ ზრუნვაზე და მომარაგებაზე. დანარჩენებისათვის მზადდება სპეციალური ბინები და მომარაგება, როგორც ლენინგრადსა, ისე მოსკოვში. დელეგატთა რიცხვი მარტო საქართველოდან უდრის 15-ს. სულ ამიერკავკასიის ფედერაციიდან დაესწრება კონგრესს 30 მეცნიერი.

კონგრესის მუშაობა მდგომარეობს პირველ-ყოვლისა მოხსენებათა წაკითხვაში. სულ წარმოდგენილია 250 მოხსენება უცხო ქვეყნებიდან და 200-მდე საბჭოთა კავშირიდან. ვინაიდან კონგრესის მუშაობა გაგრძელდება სულ რვა დღეს (ამ დროში შედის ორი დასვენების დღე), შეუძლებელია ამდენი მოხსენებათა მოსმენა პლენარულ სხდომებზე. პლენუმზე მოსმენილი იქნება მხოლოდ ოთხი მოხსენება: ერთი ამერიკიდან მეცნიერ კენონის, მეორე საფრანგეთიდან პროფ. ლაპიკისა, მესამე ინგლისიდან პროფ. ბარკროფტის და მეოთხე გერმანიიდან პროფ. გოლდშმიტერისა. დანარჩენი მოხსენებები წაკითხულ იქნება სექციებში. სულ იქნება ოთხი ან ექვსი სექცია და ამ სექციებში მოხსენებათა ხანგრძლივობა იქნება 10 წუთი. ამის გარდა, სადისკუსიოდ თვითეულ მოხსენებას დაეთმობა 5 წუთი. რამოდენიმე სიმპოზიური სხდომა მოეწყობა ზოგიერთ პრინციპიალურ შინაარსის მოხსენებათა მოსასმენად. ამ მოხსენებებს მიეცემათ ერთი-ორად მეტი დრო.

რასაკვირველია, ასეთ მოკლე დროში არც ერთი მოხსენება არ შეიძლება დეტალურად იყოს მოსმენილი და გარჩეული. მაგრამ მოხსენებათა დიდი რიცხვის გამო შეუძლებელია საქმის სხვანაირად წარმოება. ეს არის დიდი ნაკლი ყველა საერთაშორისო კონგრესებისა. ორგკომიტეტმა მოიწადინა ამ ნაკლის თავიდან აცილება. მან განიზრახა მხოლოდ ის მოხსენებები ყოფილიყო მოსმენილი, რომელიც შეეხება ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხს. ეს საკითხები წინასწარვე იქნებოდა გამოცხადებული, როგორც საპროგრამო; მაგრამ ევროპის ცნობილ ფიზიოლოგებმა, რომელთაც შევეკითხეთ ამ რეფორმის შესახებ, არ გაიზიარეს საერთაშორისო კონგრესის ძველი ხასიათის შეცვლის აზრი. ამის გამო ჩვენ იძულებული ვიყავით დაგვეცვა ეს ძველი წესი.

კონგრესის სხდომები იწარმოებს ნაწილობრივ ურიცკის სასახლეში (შეხვედრა, გახსნა პლენარული სხდომები) ნაწილობრივ ვიბორგის მუშათა კლუბში (სექციები, გამოფენა). ამ კლუბის შენობა ახალია, ოთხი დიდი დარბაზით და 80-მდე ოთახით. ურიცკის სასახლის სხდომის დარბაზში სპეციალურად კონგრესისათვის ისეთი რადიო გადაცემა მოეწყობა, რომ თვითეულ დელეგატს შეეძლოს მოისმინოს სიტყვები მისთვის გასაგებ ენაზე. ლენინგრადის უნივერსიტეტმა მიიღო მთავრობისაგან ნახევარი მილიონი მანეთი ფიზიოლოგიის ლაბორატორიის და აგრეთვე უნივერსიტეტის იმ ნაწილის შესაკეთებლად, სადაც ეს ლაბორატორია იმყოფება.

ორგკომიტეტი აწყობს ფართო გამოფენას კონგრესისათვის. გამოფენილ იქნება ყველა ის საკვლევო ფიზიოლოგიური აპარატები, რომელიც საბჭოთა კავშირში კეთდება (როგორც ფაბრიკებში, ისე კერძო ლაბორატორიების და ინსტიტუტების სახელოსნოებში). გამოფენილ იქნება ჩვენი ბეჭდვითი პროდუქცია ფიზიოლოგიაში, ბიოქიმიაში და ფარმაკოლოგიაში. დიდი ყურადღება მიექცევა ფიზიოლოგიის შესახებ იმ ნაციონალური ლიტერატურის გამოფენას, რომელიც პირველად აღმოცენდა საბჭოთა სოციალისტური მშენებლობის პერიოდში.

აგრეთვე გამოფენილ იქნება ჩვენი ლაბორატორიების და ინსტიტუტების კვლევაძიებისათვის დამახასიათებელი შედეგები მრუდეების და დიაგრამების სახით; ინსტიტუტის მოწყობილობის და თანამშრომელთა ფოტოგრაფიული სურათები. ამით ჩვენ თვალწინ გადავუშლით უცხო სტუმრებს მთელ იმ დიდ და რთულ მუშაობას, რომელიც ფიზიოლოგიის დარგში სწარმოებს საბჭოთა კავშირში.

საქართველოდან გამოფენაზე მონაწილეობისათვის ემზადება ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ქცევათა ინსტიტუტი და სამკურნალო ინსტიტუტის ანატომიის კათედრა. ფიზიოლოგიური ინსტიტუტი წარადგენს თავის შრომებს, ორიგინალურ სახელმძღვანელოებს ქართულ ენაზე, ყველა იმ საკვლევო აპარატს, რომელიც გამოგონილი და გაკეთებულია ინსტიტუტში, მრუდეებს და დიაგრამებს, რომელიც ეხება ჩონჩხის კუნთის სიმპატიური რეაქციის საკითხს და კუნთის სხვადასხვა ნაწილთა მუშაობის უნარიანობას ფიზიოლოგიური, ჰისტოლოგიური და ბიოქიმიური თვალსაზრისით.

ქცევათა ინსტიტუტი წარადგენს თავის შრომებს და ალბომებს ცხოველთა და ადამიანის ქცევის შესახებ. გარდა ამისა, იგი ამზადებს დიდ ფილმს (ცხოველთა და ადამიანის ქცევის შესახებ კონგრესზე სადემონსტრაციოდ.

სამკურნალო ინსტიტუტის ანატომიის კათედრა კონგრესს წარუდგენს ადამიანის თავის ტვინის ნერვიულ გამტარი გზების დიდ ორიგინალურ მოდელს.

15 აგვისტოს მთელი კონგრესი ლენინგრადიდან გადავა მოსკოვში და იქ განაგრძობს თავის მუშაობას. უკანასკნელი პლენარული სხდომაც იქ მოხდება. ასეთი იყო მოსკოვის ფიზიოლოგთა საზოგადოების სურვილი. ამასვე გვიკარნახებდა ის გარემოება, რომ არც ერთი უცხო დელეგატი ისე არ დაბრუნდება შინ, რომ საბჭოთა დედა-ქალაქი მოსკოვი არ ნახოს. ამიტომ ორგკომიტეტმა მთავრობის დასტურით გადაწყვიტა კონგრესის უკანასკნელი სხდომები მოსკოვში მოხდეს, ორგანიზებულად გადავიტანოთ მთელი კონგრესის მუშაობა ლენინგრადიდან მოსკოვს.

კონგრესის დამთავრების შემდეგ უცხოელთა ნაწილი „ინტურისტის“ საშუალებით მიემგზავრება საბჭოთა კავშირის დასათვალიერებლად. ექსკურსიები მოწყობილ იქნება უკრაინის, ყირიმის, ყაზანის, კავკასიის სანახავად. ორგკომიტეტმა შეადგინა „ინტურისტის“ დახმარებით თვითეული ექსკურსიის მარშრუტი და აგრეთვე ყველა ობიექტის დასახელება. მთავრობის დამხმარე კომისიის დადგენილებით ექსკურსიაში მონაწილე დელეგატთა საპატიო მიღება და საჩვენო ობიექტების წინასწარი მომზადება ევალებათ მთავრობის ადგილობრივ, რესპუბლიკურ დამხმარე კომისიებს.

კავკასიისაკენ გამოემგზავრება 100-მდე დელეგატი. უცხო დელეგატებთან ერთად იქნება აგრეთვე რამდენიმე საბჭოთა დელეგატი. ეს ექსკურსია შეჩერდება როსტოვში და დაათვალიერებს მის სამეცნიერო დაწესებულებებს და ინახულებს უდიდეს საბჭოთა მეურნეობა „გიგანტს“. შემდეგ შეჩერდება კისლოვოდსკში, მერმე ქ. ორჯონიკიძიდან საქართველოს სამხედრო გზით 25 აგვისტოს საღამოს ჩამოვა ტფილისში და დარჩება 27 აგვისტოს საღამომდე. შემდეგ კი გაემგზავრება ბათომს და იქიდან ყირიმში გავლით წავა საზღვარგარეთ.

მათი შეხვედრისათვის ემზადება განათლების და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატები და ფიზიოლოგიის ინსტიტუტი. მათ მიერ გამოყოფილი კომისია შეარჩევს და მოამზადებს იმ ობიექტებს, რომელიც დელეგაციამ უნდა ნახოს, როგორც ჩვენი მეცნიერების და ნაციონალური კულტურის მიღწევების ნიმუში.

სასამართლო

ექიმ ხორომანსკაიას მოტაცების საქმე

(პროცესის მეორე დღე)

ბათომი, 4 ივნისი (ტელეფონით საკ. კორ.) სასამ. მეორე სხდომაზე, რომელიც დაიწყო გუშინ 4 ივნისს დილით, მოსმენილ იქნა დაზარალებული ხორომანსკაიას ჩვენება დახურულ კარებში.

ჩვენების მიცემის დაწყებისთანავე დაზარალებულს ემჩნევა დიდი ნერვიულობა, რომელიც მალე ისტერიაში გადადის.

ექიმები ადასტურებენ მის მძიმე მდგომარეობას. ის გრძნობადაკარგული გაჰყავთ სასამართლოს დარბაზიდან.

სახელმწ. ბრალმდებელი შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე, რათა ასეთი მძიმე ნერვიული მდგომარეობის გამო დაზარალებული ხორომანსკაია განთავისუფლებულ იქნას შემდგომი ჩვენებისაგან, აგრეთვე პროცესზე დასწრებისაგან, დამცველებიც შუამდგომლობენ, ტფილისიდან გამოწვეულ იქნას ექიმ-ფსიქიატრთა ექსპერტიზა ხორომანსკაიას ნერვიულობის შესამოწმებლად. ორივე შუამდგომლობას სასამართლო აკმაყოფილებს.

სასამართლო აქვეყნებს წინასწარი გამოძიების დროს ხორომანსკაიას მიერ მიცემულ ჩვენებას, რომლის მიხედვით დაზარებულს არ მიუცია ბრალდ. ქეთეკო მინდაძისათვის არავითარი არც სიტყვიერი არც წერილობითი საბაბი ჩადენილი ქმედობისათვის.

პირიქით ნათქვამია ჩვენებაში,—ქეთეკო მინდაძეს მე ვერიდებოდი, ის ცდილობდა ჩემთან შეხვედრას, მე კი მუდამ გავურბოდი, რადგან მეზიზღებოდა.

ხორომანსკაიას ჩვენების მოსმენის შემდეგ ღია სხდომაზე სასამართლომ დააკმაყოფილა სახ. ბრალმდებლის შუამდგომლობა, რომ ტფილისიდან გამოწვეულ იქნას კალიგრაფთა ექსპერტიზა იმ წერილის შესამოწმებლად, რომელიც მიიღეს ხორომანსკაიას მშობლებმა 5 აპრილს. ეს წერილი შეიცავს მუქარას ხორომანსკაიას მშობლების მიმართ, როგორც წინა, ისე მიმდინარე სხდომაზე დამცველთა ნაწილმა გამოიჩინა თავდაუჭერლობა პროცესზე. სასამართლომ გაფრთხილება მისცა დამცველ მურავიოვს.

შემდეგ სასამართლო შეუდგა ბრალდებულ მაჭუტაძის და ხალვაშის დაკითხვას, რაც 3 საათს გაგრძელდა.

თავიდანვე ბრალდებულ **მაჭუტაძის** ჩვენება აბნეულია. მისი ცნობით, ის 4 აპრილს, ე. ი. ხორომანსკაიას მოტაცების დღეს, ყოფილა ბათომში. და მხოლოდ 10 საათისათვის დაბრუნებულა შინ, სოფელ ყარა-დერეში. შინ მისვლისას მას ოთახიდან გაუგონია ხმაურობა და ქალის კივილი.

სახ. ბრალმდებელი ამხ. კატანიანის შეკითხვების შემდეგ ბრალდებული მაჭუტაძე აცხადებს: ორჯერ მივეცი ჩვენება და ორჯერვე სხვადასხვანაირი, მაგრამ მართალი არის უკანასკნელი.

დასასრულ ბრალდებული მაჭუტაძე ამხელს სხვა ბრალდებულთა, კერძოდ, ქეთეკო მინდაძის და ხალვაშის მიერ მიცემულ დარიგებას, თუ როგორი ჩვენება უნდა მიეცა მას საგამომძიებლო ორგანოებისათვის და საზოგადოდ როგორ უნდა მოქცეულიყო.

დაჰკითხეს მოწმეებს: შუქრი მაჭუტაძის ცოლს, ექიმ ლილუას, აგრონომ აფაქიძეს (ხორომანსკაიას მეგობარია).

პროცესს დიდძალი ხალხი ესწრება.

მიღების პირობები
მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში
1935 სამოსწ. წლისათვის

ამ დღეებში საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცა 1935 წელში საქართველოს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში მიღების პირობები. ინსტიტუტში მისაღებთა საერთო კონტინგენტი განსაზღვრულია 60 კაცით: მათგან ერთი ჯგუფი—ძირითადი განყოფილებისათვის და ორი ჯგუფი— მოსამზადებელ განყოფილებისათვის მეცადინეობა იწარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე.

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტს მიზნად აქვს დასახული მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის კადრები პარტიულ, პედაგოგიურ და სამეცნიერო მუშაობის დარგში შემდეგი განხრით: ისტორიულ, ეკონომიური და ფილოსოფიური.

ინსტიტუტის ძირითად განყოფილებაზე მიიღებიან კომპარტიის წევრები, უმთავრესად მუშები, რომელთაც აქვთ თეორიული მომზადება სოციალ-ეკონომიური უმაღლესი სასწავლებლის და კომუნისტური უმაღლესი სასწავლებლების მოცულობით, ხელმძღვანელი პრაქტიკული, პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული მუშაობის გამოცდილება. პარტიული სტაჟი: მუშებისათვის—5 წელი და მოსამსახურეთათვის —7 წელი. თუ შემსვლელთ აქვთ კომკავშირული ხაზით ხელმძღვანელი მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ 8 წლისა, რაიონული მასშტაბით, პარტსტაჟის მოთხოვნა შეიძლება შემცირებულ იქნას 1—2 წლით.

ძირითად განყოფილებაზე შემსვლელთა ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 32 წელს. ინსტიტუტის ძირითად განყოფილებაზე შემსვლელი აბარებს გამოცდებს პოლიტიკურ ეკონომიაში, პარტიის ისტორიაში, დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმში.

მოსამზადებელი განყოფილება (სწავლების ვადა ორი წელი) ამზადებს მსმენელებს ინსტიტუტის ძირითად განყოფილებაზე მისაღებად.

მოსამზადებელ განყოფილებაზე მიიღებიან კომპარტიის წევრები — უმთავრესად მუშები და ნაცუმცირესობა, რომელთაც აქვთ თეორიულ-პოლიტიკური და საერთო-საგანმანათლებლო მომზადება მუშათა ფაკულტეტის მოცულობით. პარტსტაჟი: მუშებისათვის 4 წელი და კოლმეურნეთათვის 5 წელი. შემსვლელთა ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 30 წელს.

მოსამზადებელ განყოფილებაზე შემსვლელთათვის გამოცდები იწარმოებს კომპარტიის ისტორიაში, მათემატიკაში, ქართულსა და რუსულ ენებში.

გამოცდებზე ამხანაგები დაიშვებიან საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამანდატო კომისიის დადებითი გადაწყვეტილების შემდეგ. ინსტიტუტში შემსვლელთ ეძლევათ თვე-ნახევრის შვებულება გამოცდებისათვის მოსამზადებლად ხელფასის შენახვით მუშაობის ადგილზე. ინსტიტუტში შემსვლელთათვის ეწყობა კონსულტაცია. ის ამხანაგები, რომელთაც სურთ მიიღონ კონსულტაცია მომზადების დროს, ცხადდებიან ინსტიტუტში 25 ივლისს.

სტიპენდიის ოდენობა მსმენელთათვის განსაზღვრულია 220 მანეთიდან 300 მანეთამდე.

ჩარიცხული მსმენელები დაკმაყოფილებული იქნებიან საერთო საცხოვრებლით. მსმენელთა ოჯახის წევრების უზრუნველყოფას საბინაო ფართობით ინსტიტუტი არ კისრულობს.

ინსტიტუტში შემსვლელნი ვალდებულნი არიან წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

ა) შემოწმებული ცნობა და ანკეტა პარტსტაჟისა და სოციალური მდგომარეობის შესახებ;

ბ) ოლქკომის, რაიკომის და ქალაქკომის მივლინება;

გ) განცხადება;

დ) ვრცელი პარტდახასიათება, დამტკიცებული პარტიული ორგანოების მიერ.

ე) სამხედრო საბუთის ასლი;

ვ) საექიმო კომისიის დასკვნა ჯანმრთელობის შესახებ და

ზ) საბუთი განათლების შესახებ.

განცხადებების და საბუთების მიღება იწარმოებს ა.-წ. 1-ლ ივლისამდე მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში (ტფილისი, რუსთაველის 21).

საბოლოო ჩარიცხვა ხდება საგამოცდო კომისიის დასკვნისა და ცენტრალური კომიტეტის დამტკიცების შემდეგ.

გამოცდები დაიწყება 25 აგვისტოდან და გაგრძელდება 5 სექტემბრამდე.

მეცადინეობა დაიწყება 16 სექტემბრიდან.

ოლ.-კომებს, რაიკომებს და ქალაქკომებს წინადადება მიეცათ არა უგვიანეს 25 ივნისისა შეარჩიონ სათანადო კანდიდატები ინსტიტუტში მოსავლინებლად და საჭირო საბუთები გადმოგზავნონ შემდეგი მისამართით: ტფილისი, რუსთაველის 21. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის კულტურისა და ლენინიზმის პროპაგანდის განყოფილების გამგე **ვ. გოგეშვილი**

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე **ზ. ბრომიკერი**

მოწინავენი გეგმებისათვის ბრძოლაში

ტფილისის მთელი რიგი საწარმოები, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს 1934 წლის გეგმა და გადაჭარბებით შეასრულეს მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმები, კიდევ უფრო ენერგიულად იბრძვიან მეორე კვარტალის გეგმების შესრულებისა და გადაჭარბებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და პროდუქციის ახალი ასორტიმენტის ათვისებისათვის.

აბრეშუმის ფაბრიკა

ტფილისის № 1-ლი აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის დამკვრელებს, რომლებმაც 1934 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში მოიპოვეს მსუბუქი მრეწველობის გარდამავალი დროშა, მტკიცედ უჭირავთ ის ხელში და თვიდან თვემდე გადაჭარბებით ასრულებენ გეგმას. მაისის გეგმა ხამი ქსოვილის დარგში ფაბრიკამ შეასრულა 102 პროცენტით, მზა პროდუქციის — 124,6 პროც. გეგმით გათვალისწინებულ 147.600 მეტრი ხამი ქსოვილის ნაცვლად ფაბრიკამ გამოუშვა 150.490 მეტრი და 220.300 მეტრი მზა პროდუქციის ნაცვლად 274.726 მეტრი, მათ შორის ახალი მაღალხარისხოვანი ქსოვილი (კრეპ-სატინი, კრეპ-გოფრე), რომლის წარმოება ფაბრიკამ აითვისა პირველ კვარტალში. მაისში ფაბრიკამ დაიწყო აბრეშუმის ტილოს წარმოების ათვისება მაღალხარისხოვანი ნართიდან—„ბურ-დესუადან“.

მაუდის ფაბრიკა

არ ამცირებს პირველ კვარტალში აღებულ ტემპებს ტფილისის მაუდის ფაბრიკა, რომელიც ამჟამად ენერგიულად იბრძვის მაღალხარისხოვანი ქსოვილების შემდგომი ათვისებისათვის.

ფაბრიკის მუშათა კოლექტივმა მაისი დაამთავრა გეგმის გადაჭარბებით. ხამი ქსოვილის გეგმა ფაბრიკამ შეასრულა 100 პროცენტზე გადაჭარბებით, მზა პროდუქციის გეგმა 105,6 პროც. გეგმით გათვალისწინებული 83.280 მეტრი ხამი ქსოვილის ნაცვლად ფაბრიკამ გამოუშვა 83.306 მეტრი და 76.793 მეტრი მზა პროდუქციის ნაცვლად 81.070 მეტრი.

სპილენძის ქარხანა

კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა მაისის გეგმა ოქტომბრის რევოლუციის სახელობის სპილენძის სატკეცი ქარხნის დამკვრელმა კოლექტივმა. საერთო პროდუქციის გეგმა ქარხანამ შეასრულა 102,2 პროცენტით — გამოშვებულია 31,3 ტონა ფურცლოვანი სპილენძი, 18 ტონა შაბიამანი და სხვ. პროდუქცია.

გამოფენა სამხატვრო აკადემიაში"



სურათზე: უკანასკნელი კურსის სტუდენტის კომკავშირელ [illegible] ნახატი — ფიზკულტურა კოლმეურნეობაში

სამხრეთ-ოსეთს სანიმუშო აეროდრომი და საკუთარი თვითმფრინავი

წალენჯიხის რაიონის მიმართვამ და „კომუნისტის“ სარედაქციო წერილმა იმის შესახებ, რომ თვითეულ რაიონს ჰქონდეს სანიმუშო აეროდრომი და საკუთარი თვითმფრინავი, აქტიური გამოხმაურება ჰპოვა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქშიაც.

რედაქციამ მიიღო სამხრეთ-ოსეთის ცაკის თავმჯდომარის ამხ. ჯიჯოევის, საქ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტის მდივნის ამხ. ტაუტიევის და კომკავშირის საოლქო კომიტეტის მდივნის ამხ. რუხაძის მიერ ხელმოწერილი წერილი, საიდანაც ჩანს, რომ ოლქი ებმება სანიმუშო აეროდრომების მოწყობისა და საკუთარი თვითმფრინავების აგების რესპუბლიკურ კონკურსში.

ოლქი მიზნად ისახავს გამოძებნოს შესაფერისი ადგილი აეროდრომისათვის და უზრუნველყოს მისი მოწყობა ავიაციის დღის—18 აგვისტოსათვის. ამასთან გათვალისწინებულია აეროდრომის კეთილმოწყობა. აეროდრომამდე მიყვანილი იქნება გზატკეცილი, წყალსადენი, დაიდგმება ტელეფონი, მოეწყობა ელექტროგანათება და მოსამსახურე პერსონალისათვის ააგებენ სტანდარტულ სახლს.

უკვე დაწყებულია თანხების შეგროვება საკუთარი თვითმფრინავის შესაძენად. განზრახულია 8 ივნისისათვის, სამხრეთ-ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლის თავზე, მთლიანად დამთავრდეს ამ თანხების შეგროვება.

ოლქი ამავე მიზნით სოცშეჯიბრებაში იწვევს მახარაძისა და ზუგდიდის რაიონებს.

—O—

გასწორება

„კომუნისტის“ 3 ივნისის ნომერში მოთავსებულ საქ. სახკომსაბჭოს დადგენილებაში... „მეურნეობებისა და ოთხფეხი საქონლის აღრიცხვის ჩატარების შესახებ“ გაპარულია შემდეგი შეცდომები:

დადგენილების პირველი მუხლის „ა“ პუნქტის პირველ შენიშვნაში ჩამოთვლილია ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილები, რომელთა შორის გამოტოვებულია ქალაქი ლუქსემბურგი.

პირველი მუხლის „ა“ პუნქტის მეორე შენიშვნაში ამ სიტყვების შემდეგ—„საფინანსო ორგანოები აღრიცხავენ“ გამოტოვებულია: „დაბეგვრის ობიექტებს მხოლოდ იმ მეურნეობებში, რომელნიც იბეგრებიან“..

მეხუთე მუხლში წერია: „საჭირო სამოსწავლო საშუალებანი“; უნდა იყოს: „საჭირო სამიმოსვლო საშუალებანი“.

საჯიშე საქმის ზოოტექნიკოსთა ახალი კადრები

ა.-კ. სახკომსაბჭოს და საქ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის იმ დადგენილების შესასრულებლად, რომელიც გულისხმობს საჯიშე მეცხოველეობის განვითარებას ა-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკაში და სპეციალისტთა კვალიფიციური კადრების მომზადებას, ა.-კ. მიწსახკომმა შეიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი.

1935 წლის 1 ივლისიდან 1 სექტემბრამდე საგურამოში (ტფილისის მახლობლად) ეწყობა საჯიშე საქმის ზოოტექნიკოსთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ორთვიანი კურსები 47 კაცისათვის აქედან 18 ადგილი დაეთმობა აზერბეიჯანს, 9 სომხეთს და 18 ადგილი საქართველოს.

კურსების გამგედ დანიშნულია საგურამოს მეცხოველეობის ტექნიკუმის დირექტორი ამხ. დემეტრაძე, სასწავლო ნაწილის გამგედ — ამხ. კანდელაკი (ადს).

* * *

ახლად გაშენებული ყვავილნარი პლეხანოვის სახელობის კლუბის ბაღში, ლენინის ძეგლის წინ.

კინო

ფილმი „მფრინავები“ — საბჭოთა კინემატოგრაფიის მორიგი გამარჯვებაა

საქკინომ მიიღო მოსკოვის ფილმის ნაწარმოები, ახალი დიდი სრულმეტრაჟიანი ხმოვანი ფილმი „მფრინავები“. ამ ფილმმა საერთაშორისო კინოფესტივალზე მოსკოვში მიიღო საბჭოთა და უცხოეთის ჟიურის მაღალი შეფასება და დააჯილდოვეს საპატიო სიგელით.

ფილმი მოგვითხრობს მაყურებელს საფრენოსნო სკოლაში მოსწავლე მფრინავების ყოველდღიურ ყოფაცხოვრებასა და მუშაობაზე.

კარგად არის ნაჩვენები თეორიული და პრაქტიკული საფრენოსნო მუშაობაც. მაღალ დონეზე დგას ფილმის აქტიორების მუშაობაც. სკოლის უფროსის როგაჩევის მთავარ როლს ასრულებს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი შჩუკინი, ოინბის მფრინავის — ბელიაევის როლს— მსახიობი კოვალ-სამბორსკი, მფრინავი ქალის როლს მსახიობი მალინკოვა და სხვ.

სურათი ერთდაიმავე დროს ნაჩვენები იქნება კინო „ოქტომბერსა“ და „ტემპში“.

ფილმი დადგმულია ახალგაზრდა რეჟისორ რაიზმანის მიერ, სცენარი ეკუთვნის მაჩერეტს, ოპერატორია კოსმატოვი.

—O—

საკავშირო კონფერენცია

ტრამვაის მეურნეობის საკითხებზე

ტფილისში გაიხსნა ტრამვაის მეურნეობის სპეციალისტთა სამეცნიერო - საკვლევი საზოგადოების წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელზედაც ჩამოსული არიან ტრამვაის მეურნეობათა სპეციალისტების წარმომადგენლები — მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, ბაქოდან, ხარკოვიდან, არხანგელსკიდან, როსტოვიდან, სარატოვიდან, კუიბიშევიდან, ყაზანიდან, კიროვაბადიდან, ტაშკენტიდან და სხვა ქალაქებიდან, სადაც ტრამვაია.

კონფერენციამ უკვე მოისმინა — პროფ. ტერ-ხაჩატუროვის (ტფილისი) „ტფილისის ტრამვაის მოძრავი შემადგენლობა და მისი რემონტი“, ინჟ. ბონდარენკოს (მოსკოვი) — „მოძრავი შემადგენლობის შემოწმებისა და რემონტის მეთოდები“ და ინჟ. შტერცერის (ლენინგრადი) მოხსენება „ვაგონების სარემონტო ტიპიური სახელოსნოები“.

გუშინ კონფერენციამ დაამთავრა მუშაობა.

თელავის თეატრის 10 წლისთავი

5 ივნისს — თელავის თეატრის 10 წლისთავთან დაკავშირებით, თეატრმა მიიღო მილოცვის დეპეშები, რომელთა ნაწილს აქ ვბეჭდავთ.

მოსკოვიდან.

ვულოცავ ათი წლისთავს სცენის მუშაკთა კოლექტივს, თქვენი თეატრისა, რომელიც კეკლუც კახეთის სოციალისტურ კულტურის ერთერთი კერაა. თქვენი დღეობა ჩემი მეგობრებო, ჩემი დღეობაცაა; ვწუხვარ რომ ამ დღეებს თქვენთან ვერ ვატარებ; ვოცნებობ კიდევ მოვუტანო სარგებლობა მშობლიურ თეატრს. იმუშავეთ და იხწავლეთ, დაიპყარით სცენიურ შემოქმედების კულტურის უმაღლესი მწვერვალები.

გიორგი ტერნოვი
ვახტანგოვის თეატრი.

* *

ლენინგრადიდან

მხურვალედ გესალმებით თქვენი ათი წლისთავზე. გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას საბჭოთა ნაციონალურ კულტურის მშენებლობისათვის.

ლენინგრადის აკადემიური დრამა.

* *

თელავის სახელმწიფო თეატრის კოლექტივს, მის იუბილესთან დაკავშირებით, სსრკ მაქსიმ გორკის სახ. სამხატვრო თეატრი უგზავნის გულითად მილოცვას და უსურვებს მას შემდგომ აყვავებას, ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას.

გორკის სახ. სამხატვრო თეატრი.

* *

სოხუმიდან.

მხურვალე სალამი თელავის თეატრს. გისურვებთ დიდ მიღწევებს და გამარჯვებას თეატრალურ ფრონტზე.

ვახტანგ გარრიკი.

* *

ტფილისიდან

ვაშა ენერგიული ბრძოლით მოპოვებულ კულტურული კერის გამარჯვებას —ათი წლის მანძილზე! მთელ კოლექტივს ვუსურვებ უფრო მეტი ენერგიით განევრცობ წარმატება (?) მუშათა და კოლმეურნეთა საკეთილდღეოდ. დამსწრე საზოგადოებას ალავერდი.

ნიკო გოცირიძე.

ქართული ხელსაქმე

შედიხართ მეტეხის მუზეუმის მცირე ხელოვნების განყოფილებაში და გაოცებთ მრავალფეროვანი ნაქარგების ექსპონატები. ათვალიერებ იშვიათი ოსტატობით და გემოვნებით შესრულებულ ნაქარგებს და ხედავთ — ფერების შეხამებისა და სახეების მხატვრულად გამოყვანის რა მაღალი კულტურა ყოფილა საქართველოში.

სურათზე: ქართული ხელსაქმის გამოფენის ექსპონატი. შინდისფერი ხავერდის ბალიშისპირი ვერცხლისა და აბრეშუმის ფერადძაფებით დალიანდაგებულ-მოქარგული. ნიმუში მე-18 საუკუნის მიწურულს ეკუთვნის

* * *

აქ თავმოყრილია მეტად მნიშვნელოვანი მასალა საქართველოს ეკონომიური განვითარების ისტორიის გასაცნობად, — კერძოდ ქართული ხელსაქმე, რომლის ნიმუშების ნაირფერობა იძლევა ფეოდალიზმის რღვევის და ბურჟუაზიის თანდათანი აღორძინების პერიოდის (მე-18 საუკუნის მიწურულიდან მე-19 საუკუნის დამლევამდე) მდიდარ მასალას. ამ ექსპონატების გულდასმით დათვალიერების და დაკვირვების შემდეგ მნახველისთვის თვალსაჩინო ხდება ფეოდალური წყობის წიაღში ძველი მოტივების გარდაქმნა ბურჟუაზიული გემოვნების ზეგავლენით. აქვეა საგნების კლასობრივი განსხვავება; არის საგნები, რომლიც სხვადასხვა კლასის წარმომადგენელთა მიერაა შესრულებული.

მეტეხის მუზეუმის მცირე ხელოვნების განყოფილებას მოწყობილი აქვს ხელსაქმის ამგვარი ნიმუშების გამოფენა საქართველოს მუზეუმის შენობაში.

ხელოვნების ქრონიკა

— **საღამო-კონცერტი.** 6 ივნისს საღამოს 9 საათზე, რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში, პირველი საცდელი საშუალო სკოლის დამხმარე საბჭოს ფონდის გასაძლიერებლად გაიმართება საღამო-კონცერტი. სალიტერატურო განყოფილებაში მონაწილეობენ პოეტები და მწერლები. საკონცერტო განყოფილებაში გამოვლენ მეჩონგურეთა ანსამბლი, საკ. სიმებიანი კვარტეტი და მომღერლები კონსერვატორიიდან.

— **სახ. კონსერვატორიის დარბაზში,** 6 ივნისს დღის 12 საათზე შესდგება სამუსიკალური მუშფაკის მსმენელთა მე-5 ლია კონცერტი. ბილეთები გაიყიდება კონსერვატორიის სალაროში.

— **„მუნჯები ალაპარაკდნენ“** რუსულ ენაზე მოსკოვის სახ. ლიტერატურულმა გამომცემლობამ გამოსცა რუსულ ენაზე გერცელ ბააზოვის პიესა „მუნჯები ალაპარაკდნენ“. თარგმანი —პავლე დადვანის. წიგნს დართული აქვს სარედაქციო წინასიტყვაობა და ვლ. ატალოვის რეჟისორული კომენტარიები. წიგნის ფასი ყდით— 1 მან. 50 კაპ.

—O—

შემთხვევები

**დაჭრა.** სოფ. დიღომის მახლობლად მ. ს. სტრიუნკამ ჩხუბის დროს დანით დასჭრა ა. ა. აბასკიროვი (რეუტოვის ქ. 31) და ს. გ. კირაკოზოვი (ნორიოს ქ. 17) დაჭრილნი მოათავსეს საავადმყოფოში სტრიუნკი შეიპყრეს.

**გაუფრთხილებელი სვლა.** ნავთლუღის ქუჩაზე, მე-9 მარშრუტის ტრამვაის ვაგონი, რომელსაც მართავდა ვატმანი ა. გ. გუსეინოვი, დაეჯახა წინ მიმავალ საბარგო ავტომობილს № 6—31. ვაგონი უმნიშვნელოდ დაზიანდა.

**ქურდების დაპატიმრება.** შამპანიურის ქარხნიდან (ელბაქიძის დაღმართი) ლიქიორის ქურდობისათვის შეიპყრეს ნ. ა. ეგიაზაროვი (გოგოლის ქ. № 1) და ა. ნ. ავეტისიანი (კამოს ქ. 105).

**ხულიგნობა.** ჩხუბის და მილიციისათვის დაუმორჩილებლობის გამო შეიპყრეს შ. გ. ბეჟუაშვილი, ა. დ. ფეიქრიშვილი და ი. ა. კორომიშვილი.

—O—

კრებები და მოხსენებები

—6 ივნისს, დღის 1 საათზე, საქ. პროფსაბჭოს სახლის მცირე დარბაზში ქიმიკოსთა სამეცნიერო-საინჟინერო ტექნიკური საზოგადოება მართავს ინჟინერ ვ. დ. ცისკარაშვილის მოხსენებას თემაზე: „ახალციხის ქვანახშირის გაზიფიკაციის საკითხისათვის“. შესვლა თავისუფალია.

— **ზოოვეტ. ინსტიტუტში** (უნივერსიტეტის ქ. 19) 6 ივნისს დღის 12 ს. შესდგება დოც. ბ. მეხხის მოხსენება თემაზე „ბრძოლა მარქსისტულ-ლენინური თეორიის სიწმინდისათვის“.

რუსთაველის თეატრი
რესპ. სახ. არტ. **სანდრო ახმეტელის**
ხელმძღვანელობით
1934—35 წლ. სეზონი.

ქ. ბაქოში საგასტროლოდ გამგზავრების გამო აბონენტები მეათე წარმოდგენით დაკმაყოფილებული იქნებიან 1935 წ ოქტომბერში პრემიერა „არსენა“-თი.

5 ივნისამდე უკანასკნელი წარმოდგენები
აბონემენტების გარეშე

5 ივნისი
in Tirannos

სალარო ღიაა 11—2 6—9 საათამდე. დასაწყისი 8½ საათზე.
ნ. 177

მარჯანიშვილის თეატრი		
	5 ივნისს	აბ. № 14. 8 წარ. წარ. № 169 განურჩევლად პიროვნებისა
	6 ივნისს	აბ. გარეშე წარ. № 170 ვერაგობა და სიყვარული

დასაწყისი სალ. 8-ნახ. საათზე. სალარო ღიაა 11—2 6—9 ს.

ოქტომბერი 6-30, 8-30, 10-30	უკანასკნელი დღეები ხმოვ. სურ.—გლეხები
დამკვრელი (საზაფხ. საზამთრო) 5, 7-30 9, 10-30	მხატვრული კომედია ბედნიერი ფინიში
ტემპი (საზამთ.) 7, 8-45, 10-30	მხატვრული ფილმი—ნამუსი
ტემპი (საზაფხ. ხმოვანი 8-45, 10-45	დადგმის მესამე კვირა ხმოვანი კომედია ცხარე დღეები
რ. ლიუქსემბურგის სახ. 6-30, 8-30, 10-30	ხმ. ფილმი უკანასკნელი მასკარადი ავტორ-რეჟისორი მ. ჭიაურელი.
მთერი (საზაფხ.) 8-45 10-30	მხატვრული ფილმი—ფუნთუშა გი-დე მოპასანის მოთხრობის მიხედვით
„26“-ის კომ. სახ. 6-30, 8-30, 10-30	მხატვრ. ფილმი—ტარიელ მკლავაძე
კომინტერნი საზაფხ. (დიდუბეში) 8-30, 10-30.	2 სერია გაწირულნი ვ. ჰიუგოს მოტივები.

ექიმი
ი. ჭეიშვილი
სიფილისი, ვენერიულ და კანის დაავად. იღებს დილის 8—9 საათზე, დ. საღამოს 6½—8½ საათ მისამართი კამოს ქუჩა № 72 (აფთიაქთან) დროებით საავადმყ. პირდაპირ

ექიმი
ლ. ა. ფაღავა
შარდ-სასქ. ორგ. სიფილისი და ვენერიული სნეულ.
იღ. საღამოს 6-ნახ. ს. 8 საათ მდე.
ლ. ცეტკინის ქ. № 148 ა.-კ. რკ. გზის (სამმართველოს ახლოს) 637

ექიმი
შ. გ. სესიაშვილი
კანი. ვენერიული, სიფილისი. გადავიდა ლიბკნეხტის შესახვევი № 10 (ყოფ. კურსკის) გრიბოედოვის ქ. № 30-ში.
5—8 ს სალ.
ტელ. №3-44-16.

საქართველოს ადგილობრივ მრეწველობის სახალხო კომისარიატის
საკერვალო ფაბრიკა № 6

სარეწაო კოოპერაციის ქ. (ყოფ. სომხის ბაზარი) № 22.

აცხადებს შემკვეთელების საყურადღებოდ

რომ ქვემოდ ჩამოთვლილი შეკვეთები: კოსტუმები და პალტოები, როგორც კაცის ისე ქალის, რომლებიც დამზადებული იყო 3 ივნისისათვის, გამოსყიდული უნდა იქნეს სამი დღის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა. სამი დღის შემდეგ შეკვეთები გაიყიდება სხვა პირებზე ორდერებით და არავითარი პრეტენზიები არ მიიღება.

შეკვეთის №№

83, 119, 178, 221, 275, 285, 292, 346, 350, 361, 397, 464, 499, 534, 557, 584, 626, 659, 692, 699, 756, 774, 780, 819, 836, 848, 859, 908, 913, 919, 927, 935, 937, 944, 947, 954, 955, 970, 990, 1017, 1021, 1022, 1023, 1046, 1053, 1070, 1072, 1076, 1105, 1115, 1116, 1129, 1132, 1137, 1139, 1162, 1171, 1193, 1195, 2008, 2014, 2016, 2018, 2034, 2041, 2046, 2049, 2059, 2063, 2066, 2067, 2069, 2076, 2078, 208[illegible], 2102, 2111, 2113, 2140, 2170, 2180, 2194, 2195, 2197, 2201, 2207, 2213, 2230, 2233, 2235, 2242, 2243, 2250, 2256, 2258, 2266, 2298, 2325, 2801, 3004, 3017, 3029, 3034, 3036, 3040, 3040, 3046, [illegible]057, 3071, 3104, 3114, 3115, 3117, 3119, 3120, 3124, 3127, 3136, 3141, 3146, 3150, 3181, 3186, 3187, 3193, 3196, 3349, 3935, 4044, 4057, 4072, 4076, 4080, 4088, 4092, 4098, 4101, 4106, 4110, 4117, 4123, 4131, 4132, 4135, 4139, 4143, 4161, 4167, 4168, 4171, 4175, 4181, 4190, 4195, 4203, 420[illegible], 4208, 4217, 4230, 4231, 4233, 4254, 4806, 4946, 5015, 5019, 5021, 5030, 5034, 5044, 5058, 5072, 5073, 5087, 5097, 5115, 5122, 5126, 5135, 5136, 5137, 5138, [illegible]143, 5177, 5183, 5187, 5195, 5199, 5201, 5216, 5224, 5235, 5241, 5263, 5435, 6012, 6023, 6027, 6028, 60[illegible]1, 6036, 6039, 6047, 6051, 6052, 6956, 6064, 6066, 6068, 6069, 6082, 6097, 6098, 6101, 6102, 6113, 6115, 6145, 6151, 6159, 6164, 6178, 6185, 6192, 6203, 6238, 640[illegible], 6630, 6645, 6650, 6720, 6946, 7001, 7004, 7014, 7017, 7024, 7046, 7049, 7052, 7062, 7067, 7073, 7082, 70[illegible], 7085, 7104, 7105, 7152, 7164, 7182, 71[illegible]1, 7193, 7195, 7214, 7221, 7233, 7239, 7260, 7440, 7441, 7541, 7567, 7588, 7661, 8003, 8008, 8013, 8016, 8017, 8017, 8021, 8028, 8030, 8031, 8036, 8039, 804[illegible], 8055, 8059, 8072, 8076, 8078, 8089, 809[illegible], 8099, 8107, 810[illegible], 8111, 8113, 8118, 8119, 8120, 8135, 8137, 8151, 12121, 12170, 12223, 12234, 12254, 12257, 12267, 12272, 12310, 12370, 12399, 12404, 12466, 12501, 12537, 12547, 12553, 12557, 12598, 12643, 12671, 12685, 12704, 12705, 12724, 13074, 131[illegible]3, 13609, 13812, 13845, 14059, 14087, 14163, 14348, 14444, 14462, 14467, 14524, 14589.

შენიშვნა დანარჩენი შეკვეთები—ხალათები, შარვლები და ქალის კაბები, რომლებიც მზად იყო 3 ივნისისათვის გამოსყიდული უნდა იქნეს სამი დღის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა სამი დღის შემდეგ შეკვეთები გაიყიდება ორდერებით სხვა პირებზე და არავითარი პრეტენზიები მიღებულობაში არ მიიღება.

ამას გარდა ქვემოდ ნაჩვენები ნომრებით შეკვეთები გამზადებულია ჩასაზომებლად. თუ სამი დღის ვადაში ჩასაზომებლად არ გამოცხადდა, შეიკერება ჩაუზომებლად.

126, 691, 973, 985, 995, 1008, 1054, 1055, 1060, 1097, 1111, 1114, 1126, 1159, 1168, 1179, 1181, 1201, 1202, 1203, 1204, 1208, 2126, 2168, 2169, 2199, 2202, 2223, 2228, 2229, 2245, 2253, 2261, 2265, 2269, 2271, 2272, 2276, 2278, 2287, 2294, 2305, 2312, 2317, 2321, 2323, 2326, 2329, 2339, 2341, 2343, 2349, 2352, 2353, 2358, 3006, 3044, 3166, 3176, 3210, 3229, 3233, 3239, 3242, 4119, 4131, 4159, 4166, 4178, 4182, 4188, 4192, 4197, 4211, 4218, 4219, 4220, 4221, 4223, 4226, 4227, 4228, 4229, 4236, 4238, 4251, 4257, 4264, 4279, 6007, 6046, 6048, 6056, 6067, 6071, 6072, 6085, 6099, 6133, 6149, 6168, 6175, 6179, 6183, 6184, 6185, 6186, 6194, 6195, 619[illegible], 6201, 6224, 6224, 6229, 6243, 6843, 7015, 7054, 7061, 706[illegible], 7076, 70[illegible]2, 7093, 7210, 7609, 8009, 8126, 8143, 8180, 8201, 82[illegible]1, 9247, 10038, 1003[illegible], 12125, 12136, 12400, 12465, 12482, 12570, 13079, 14296.

ახალი შეკვეთების მიღება. დამზადებულის გაცემა და ჩაზომვა სწარმოებს ყოველ კენტ რიცხვებში 9—2-ნახ. საათამდე.

დირექცია.

260

5 ივნისს, საღამოს 8 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში (ფურცელაძის ქ. № 3) გაიხსნება

ავტონომიურ რესპუბლიკების განსახკომების და რაიგანათლების განყოფილებათა გამგეების

რესპუბლიკური თათბირი

შემდეგი დღის წესრიგით:

1. ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მსვლელობის შესახებ (მომხს ამხ. გორდელაძე და გეგენავა).
2. ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მსვლელობა ადგილებზე (თანამომხსენება აჭარისტანის, აფხაზეთის ს. ს. ს. რ. და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის განსახკომების).

მოწვეული არიან საქ. კომკავშირის ცენტრალური და ტფილისის კომიტეტები, დაწყ. და საშუალო სკოლების მუშ. კავშირის ცენტრალური კომიტეტი, საქ. ფინსახკომი. სახელმწიფო უნივერსიტეტი. პედაგოგიკის და პედოლოგიის ინსტიტუტი, ტფილისის და მისი რაიონების გან-ის განყოფილებათა გამგეები, საშუალო სკოლების და პედტექნიკუმის დირექტორები.

8462 განათლ. სახ. კომისარი **აქ. თათარიშვილი.**

ქვემოთ ჩამოთვლილი საბუთები ჩაითვალოს გაუქმებულად

კავშირის წიგნაკი № 61518, პასპორტი № 077988, საავადმყოფო ფურცელი № 334330 გაცემული კონსტანტინე გელოვანის-ძე ვეფხვაძის სახელზე.

ალკკ საწევრო წიგნაკი № 6451454 გაცემული ბაშურის რაიკომის მიერ ერემია მოსეს-ძე ტაბატაძის სახელზე. 8465

ექიმი
ს. ვ. მესხელიშვილი
თვალის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 5—7 საათამდე
ყორღანოვის ქ. № 3

ექიმი
ვ. ფ. ოთხმეზური
ქირურგიული სნეულებანი
ავადმყ. მიღება სალ. 5—7-მდე. ლენინგრადი № 7 ქ. 6548 5 3

დამწუხრებული მეუღლე მინადორა, შვილები—გრიშა, შოთა, რძლები ლუბა, თამარ და შვილიშვილი ცაცილა იუწყებიან მათთვის ძვირფასს **ვასილ გიორგის-ძე ჯალაღანიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა მარტვილში 6 ივნისს. 8453

6 ივნისს საღამოს 7 ს. ვერის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქ. პანაშვიდი **შალვა შარაშიძის (თაგუნას)** ხსოვნის აღსანიშნავად, რასაც იუწყებიან კოტე, ვარვარა, გივი ბუაჩიძეები, მიხეილ, ვლადიმერ ჩირგაძეები ოჯახობით. 8454

დამწუხრებული ბიძია პავლე, ბიცოლა ჩაჩა ბავშვებით სურმავები, შვილი გუგუ, სიძე დათიკო ბარათელიები აუწყებენ ნათესავებს-ნაცნობებს მათთვის დაუვიწყარ სიძის **ილია შელეგიას** უდროოდ დაკარგვას. 8463

ვამზადებ
უმოკლეს ვადაში
უმაღლესი სკოლებისათვის მათემატიკასა და რუსულში და ყველა საგნებში
ტექნიკუმში, რაბფაკში, 6, 7 კლასში შემსვლ.
ვასწავლი უცოდინარებს და მცირემკოდ.
3 და 4 თვეს
არითმეტიკას საბუღალტრო კურსებისათვის
მოანგარიშის და **მოლარის** თანამდებობისათვის
პლეხანოვის ქ. 25 (შესავალი ჩერნიშევის ქ. ა.) ნახვა 7—1 საათ. 3—8 ს.
5—1 8417

დამწუხრებული მშობლები: ექიმი ნინა ჯაფარიძე და სარდიონ ამაღლობელი როდარით იუწყებიან საყვარელ შვილის პატარა **შოთა (კოტიკოს) ამაღლობელის** უდროოდ გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი 5 ივნისს 7 ს. გამოსვენება 6 ივნისს დღის 1-ლ ს. ბაქრაძის შესახვევი № 4. 8459

დამწუხრებული მშობლები მარიამ, იასონ, ძმა შალვა, და მარი, სიძე დ. კაკაბაძე, ბიძა ს. მამისაშვილი მეუღლით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 6 ივნისს 2 ს. ველაბრის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი **კოლია სულთანიშვილის** ხსოვნის აღსანიშნავად. 8446

დამწუხრებული ბიძაშვილები: ეფრემი ცოლით თამარით, ვლასი, ელენა, ნატაშა, თამარა ვაწაძეები ვაუწყებთ ნათესავთ - ნაცნობებს საყვარელი ბიძაშვილის **ნუშკა რუბენის ასულ ფაფაძის** უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა ლვარდიაში. ენუქიძის რაიონში. 8458

დამწუხრებული მამა კოლია, დედა შუშანა, ძმა თეზიკო, ბიძა დათიკო, ბიცოლა ნინა ჯაყელები — შვილებით აუწყებენ საზოგადოებას დაუვიწყარ **პატარა ლამარას** გარდაცვალებას. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე 5 ივნისს 5 ს. გამოსვენება ტურგენევის ქ. № 6. 8457

დამწუხრებული მეუღლე ბენო, მაზლი შალიკო მაღრაძეები, მეგობრები: სერგო, კატუშა შუბლაძეები იუწყებიან დაუვიწყარ **ნადია მაღრაძის** უდროოდ გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი დღეს 7 ს. გამოსვენება 6 ივნისს 5 ს. კამალოვის 22, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 845[illegible]

დამწუხრებული მამამთილი მიხა შვილებით: ქსენია, ტატიანა, ხუტა, ბებია სალომე, ბიძია ვასო, ბიცოლა ოლღა ეორათი სურმავები აუწყებენ ნათესავებს საყვარელ სიძის **ილია შელეგიას** დაკარგვას. დაკრძალვა ჯოლოში 7 ივნისს. 8463

მეგობრები: ცეცხლაძე, მამუჩეიშვილი, გოგოლაშვილი, ბასარია, კაკაბაძე კალანდაძე, კიკვაძე, კიტია, შენგელია, ონიკოვი მწუხარებას გამოთქვამენ აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის კომიტეტის თავრის კოსტა ცაგარეიშვილის დის **ქეთუშა ცაგარეიშვილის** გარდაცვალების გამო. 8455

დამწუხრებული ცოლი მარიამი შვილებით: ელეფთერი, რიმა და კაკო რძალი ნინა და შვილიშვილები იუწყებიან დაუვიწყარ **არჩილ გიორგის-ძე სახვაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 6 ივნისს სოფ. უბისაში (ორჯონიკიძის რაიონი) 846[illegible]

გულმოკლულნი მშობლები: ნინა, სერგო, ძმა ვახტანგი და მარგალიტა სურგულაძეები ბებია სოფიო ეგორაშვილი იუწყებიან, რომ 6 ივნისს 5 ნახევარ საათზე დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი ველაბრის სასაფლაოზე დაუვიწყარ **რეზიკო სერგოს-ძე სურგულაძის** ხსოვნის აღსანიშნავად.

6 ივნისს 7 ს. გადახდილი იქნება ქეთო, ნუცას მამის **შალვა შარაშიძის** ხსოვნის აღსანიშნავად სამოქ. პანაშვიდი, რასაც ვაუწყებთ მეგობრები: ელენე, დარეჯან ლომიძეები, ნინო გიორგობიანი, ნინო ნასიძე, ქსენია მიქაბაძე, ბიძინა ინდუაშვილი. 8464

დამწუხრებული შვილები: ხუტა, აგრაფინა ქმარშვილით, მარო, ნინა, ალექსანდრა, შვილიშვილი ივანე ივანეს-ძე იოსავები იუწყებიან ძვირფას მოამაგე მამის და ბაბუას **ლავრენტი ივანეს-ძე იოსავას** გარდაცვალებას, დაკრძალვა სოფ. ბიაში 5 ივნისს. 846[illegible]

მეუღლე ანნა, შვილები გოგუცა და ვახტანგი, რძალი თინა და შვილიშვილი დოდო გოცირიძეები იუწყებიან, რომ 6 ივნისს, პირველ საათზე კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **პორფილე სიმონის-ძე გოცირიძის** სამოქალაქო პანაშვიდი. ნ. 185

აბრეშუმის სამმართველოს უნივერმაღის № 1 თანამშრომლები იზიარებენ ამავე უნივერმაღის დირექტორ გრიშა ჯალაღანიძის მწუხარებას მისი მამის **ვასილ გიორგის-ძე ჯალაღანიძის** გარდაცვალების გამო. 8466

გრიშა ალექსანდრეს-ძე დოლიძე იუწყება, რომ 6 ივნისს ქ. მახარაძეში დანიშნულია საყვარელ ცოლის **ჟენია დოლიძის** სამოქალაქო პანაშვიდი. 8465

მისამართები: რედაქციის რუსთაველის პროსპექტი № 16. გამომცემლობის რუსთაველის პროსპ. №84 ტელეფონები რედაქტორის 3—62—26, რედაქტორის მოადგილის 3—68—03, პასუხისმგებელი მდივნის 3—08—67, სამდივნოს 3—06—88, მას ობრივი განყოფილების 3—78—24, პარტმშენებლობის განყოფილების 3—57—61, სამრეწველო განყოფილების—3—73—40, სტამბის 3—37—04, გამომცემლობის—3—51—81 ხელთნაწერებს რედაქცია არ უბრუნებს.

სტამბა „კომუნისტი“ კამოს ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული ბ 9405